პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 274 (10668) | შაბათი, 24 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ბელორუსიის კპ ცენტრალურ კომიტეტსა და ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ბელორუსიის სსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გაადიდებლად. რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სელის თესლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. 1956 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა რძე 98 ათასი ტონით, კარტოფილი 200 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის, ხოლო სელის თესლი დამზადებულია 170 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ბელორუსიის სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს ულოცავენ მოპოვებულ წარმატებებს და გამოთქვამენ წინანდელივით, ისინი შემდეგშიც ბეჯითად იმუშავებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მომხმარებელთა მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების უდიდესი ამოცანები დასახა ჩვენი პარტიის XX ყრილობამ. ამ ამოცანების განხორციელებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩაბმული არიან მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა კოლექტივები. ამ მრავალმილიონიანი არმიის ერთ-ერთ რაზმს შეადგენენ ვაჭრობის დარგის მუშაკები, რომლებიც სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან უბანზე მოღვაწეობენ და წარმატებებსაც აღწევენ. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივებსაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და ყურადღების შედეგად უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. ამას ნათელყოფს ის, რომ წელს საქართველოს მშრომელებს მიეყიდათ გაცილებით მეტი სასურსათო, სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელი, ვიდრე წინა წელს. შარშანდელთან შედარებით რესპუბლიკის საქონელბრუნვის გეგმა მიმდინარე წლის ათ თვეში 426 მილიონი მანეთით გაიზარდა. ფართოვდება მაღაზიებისა და სასადილოების ქსელი. ერთ წელიწადში საცალო ვაჭრობის ობიექტების რაოდენობა 343 ერთეულით გადიდდა, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა — 197 ერთეულით. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული მომხმარებელთა მომსახურების ახალი, პროგრესული მეთოდების დასანერგავად.

მაგრამ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, თითქოს ყველაფერია გაკეთებული საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლებისა და საქონელბრუნვის გასაფართოებლად. იმ მიღწევათა მიუხედავად, რაც მოპოვებულია უკანასკნელ ხანს ამ საქმეში, ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვერ სწვდებიან სავაჭრო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობას და ვერ ახდენენ დახლის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივების მობილიზაციას, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის მშრომელთა მომსახურება.

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები სრულად ვერ იყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, სუსტად ეწევიან მოწინავეთა შრომის მეთოდების პოპულარიზაციას, მიმდინარე წლის ათი თვის საქონელბრუნვის გეგმა შეუსრულებელი დარჩა. ჩამორჩენენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების გორის, ფოთის, ხოლო რაიონებიდან ყაზბეგის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის, სიღნაღისა და სხვ. სავაჭრო ორგანიზაციები.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საერთო საკავშირო ქსელის მუშაობის მრავალი ნაკლი გამოვლინდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში შედგა და, რომელმაც ერთ-ერთ საკითხად განიხილა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსახლეობის მოთხოვნილებათა შესწავლა, სერიოზული დეფექტებია დაშვებული დაგეგმვაში. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა საქონელი თვეობით აწყვია თაროებზე და ბაზებში, არ საღდება, ამავე დროს ზოგიერთ სოფელში, ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში ხშირად არა აქვთ ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი. ამჟამად ზენორმატიული საქონლის ნაშთი 280 მილიონ მანეთს აღემატება.

რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, განსაკუთრებით ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები ჯერ კიდევ დაბალი ხარისხის საქონელს აწვდიან ბაზებს, ამასთან არ იცავენ ასორტიმენტს.

საბჭოთა ვაჭრობის კარგად მოწყობასა და მოსახლეობის მომსახურებაში მცირე როლს არ ასრულებს სავაჭრო საწარმოთა სწორი განლაგება. ამ მხრივ არსებითი ნაკლოვანებებია თბილისში, ლენინის, 26 კომისრისა და მოლოტოვის რაიონების მუშათა უბნებში ცოტაა სავაჭრო ობიექტები. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში და სხვ. ცეკავშირის გამგეობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს სოფლად, განსაკუთრებით მთიან რაიონებში სავაჭრო ქსელის გაფართოებას.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა ბოსტნეულით, ხილითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა შესაძლებლობა იყოს გამოყენებული სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის ფართოდ გაშლისათვის. რეზერვები ძალიან დიდია. სრულყოფილად არ არის ორგანიზებული ხილ-ბოსტნეულის შეზიდვა სამრეწველო ქალაქებში, არის ნაკლოვანებები რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგებაში.

არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის მთავარია კადრებთან მუშაობის გარდაქმნა. ზომა-წონაში მოტყუება, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა - დატაცება, მომხმარებლებისადმი უხეში დამოკიდებულება, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი, იმის შედეგია, რომ ხშირად სათანადო პოლიტიკური და საქმიანი ნიშნით არ ხდება მუშაკთა, განსაკუთრებით მაღაზიის დირექტორებისა და ბაზების გამგეების შერჩევა, განაწილება, აღზრდა. მათ ისევე გულდასმით, ისეთივე ყურადღებით უნდა ვარჩევდეთ, როგორც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საწარმოთა დირექტორებს.

კულტურული ვაჭრობის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დარაზმონ ვაჭრობის დარგის მუშაკები პასუხსაგებ დავალებათა შესასრულებლად, ყოველდღიურად, უფრო მოქნილად და ოპერატიულად წარმართონ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების საქმიანობა, კონკრეტულად დაეხმარონ მათ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ძირეულად გარდაქმნან ვაჭრობის ყველა რგოლის მუშაობა, მიაღწიონ მოსახლეობის მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და ვაჭრობის კულტურის ამაღლებას, რაც მთავარია, თვითეული სავაჭრო და კოოპერაციული ორგანიზაციის, ტრესტის მიერ საქონელბრუნვის გეგმების აუცილებელ შესრულებას.

მოსახლეობის მოთხოვნილებათა გულდასმით შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი დაგეგმვაში და გავაუმჯობესოთ საქონლის შეზიდვა ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში, პირველ რიგში კი მაღალმთიან და შორეულ რაიონებში. სათანადო მუშაობა უნდა იქნას გაწეული სავაჭრო ქსელისა და სასადილოების სწორი დისლოკაციისათვის, ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის განაპირა მუშათა დაბებსა და სოფლებს.

საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა, გამფლანგველთა, ზომა-წონაში მომხმარებლების მომტყუებელთა, სპეკულანტთა წინააღმდეგ უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფერო.

ვაჭრობაში წესრიგის დასამყარებლად დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოებრივ კონტროლიორებს. ცოტა როდია ვაჭრობის დარგის პატიოსანი, კულტურული და თავის საქმეს კარგად დაუფლებული ადამიანი, საჭიროა მათი გამოცდილების ფართოდ გავრცელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის ფართო ღონისძიებები დასახა, რომლებიც სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი აღმავლობის პროგრამაა. მათი განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანოების მუშაობის ძირეულ გარდაქმნასა და მოსახლეობის მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებას. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა დარაზმონ დახლის მუშაკები პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის საბრძოლველად, მუშაობაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ნგუენ ლონგ ბანგი

23 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნგუენ ლონგ ბანგი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★

11 თვის გეგმა 22 ნოემბრისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). მემარტენეები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებას ახალი საწარმოო მიღწევებით განამტკიცებენ. შეთანხმებული, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად მარტენის საამქროს კოლექტივმა 11 თვის გეგმა 22 ნოემბრისათვის გაანაღდა და ნოემბრის მარტო ორ დეკადაში სამმობლოს მისცა 1.500 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი. ამავე პერიოდისათვის განხორციელებულია 200-ზე მეტი ჩქაროსნული ნადნობი. 22 დღეში 21 ჩქაროსნული ნადნობი — ასეთია ნოვატორი მეფოლადის ა. ფანცულაიას მაჩვენებელი.

საუკეთესო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მეფოლადეთა ბრიგადები, რომლებსაც გ. ბერეკაშვილი, ი. ბაირაკოვი, გ. სეფისკვერაძე და ზ. ყაველაშვილი ხელმძღვანელობენ.

ცხაკაიელ მექანიზაციორთა წარმატება

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა, რომელსაც საოქტომბროდ ნაკისრი ჰქონდა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი, მთლიანად შეასრულა მანქანა-იარაღების რემონტის წლიური გეგმა. შეკეთებულია 25 ტრაქტორი, 30 გუთანი, 10 სათესი მანქანა, 6 სილოსსაჭრელი და სხვ.

რემონტის სამუშაოებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მექანიკოსმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ხურციამ, ტრაქტორისტებმა ფ. წულაიამ, ს. სახოკიამ, მჭედელმა ჭ. ბაღუშვილმა, ხარატმა გ. ხუტულაშვილმა და სხვებმა.

ასუქებენ ღორებს

ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს შორის ღორების გასუქებისა და ჩაბარების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობას დღეისათვის სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვს 13,3 ტონა ღორის ხორცი. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გაასუქონ 60.000 ღორი, ბოლნისელმა კოლმეურნეებმა გასასუქებლად 100 ღორი დააყენეს, აქედან უკვე ჩაბარეს 15.

ფერმაში დადგეს ავტომატური საკვებურები და სარწყულებები. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია ლ. ოგანეზოვმა. იგი 47 ღორს უვლის და აღწევს იმას, რომ ღორები დღეღამეში საშუალოდ 300-400 გრამს მატულობენ. ოგანეზოვი იყენებს ვორონეჟელ მეცხოველეთა მეთოდს.

ღორების გასუქებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე სოფლების ბოლნისისა და რატევანის კოლმეურნეობებმა.

★ ★ ★

თბილისის სატელევიზიო ცენტრი

რეპორტაჟი





ფუნიკულორის პლატოზე რომ ახვიდეთ და მიუახლოვდეთ ყველა თბილისელისათვის ცნობილ 180-მეტრიან სატელევიზიო კოშკს, მარცხივ დაინახავთ ახალ გრძელ ერთსართულიან შენობას. ნუ გაგიკვირდებათ, თუ შენობის შიგნით შესვლისას სამარისებური სიჩუმე იქნება. ერთ-ერთ კარზე ბრწყინავს წარწერა: „დაიცავთ სიჩუმე—გადაცემაა“. ამ ერთი შეხედვით, პატარა შენობაში მოთავსებულია თბილისის სატელევიზიო ცენტრი — ტელევიზიის გული.

სატელევიზიო ცენტრის დირექტორი ვახტანგ ლორთქიფანიძე სქემას დასცქეროდა, როდესაც მის კაბინეტში შევედით.

ურთიერთ მისალმების შემდეგ, საუბარში ამხ. ლორთქიფანიძემ გვითხრა:

— ვამთავრებთ მოწყობილობის მონტაჟს და ამ დღეებში დავიწყებთ საცდელ გადაცემებს.

დირექტორი გვიამბობს ტელეცენტრის პირველი რიგის მოწყობილობის შესახებ.

აქ არის ულტრამოკლე ტალღების გადამცემთა გენერალური დარბაზი, მიმღები საკაპარატო, სამაკეტო-სადიქტორო სტუდია, ტელე-საკაპარატო, ტელე-კინოსაპროექციო, აგრეთვე მთელი რიგი დამხმარე შენობები. ტელეცენტრი აღჭურვილია უახლესი სამაშულო ტექნიკით.

ულტრამოკლეტალღებიანი გადამცემების დარბაზი უზრუნველყოფს გამოსახულების და ხმის გადაცემას ანტენურ-ფიდერული მოწყობილობის (კოშკის) მეშვეობით. ეს არის სატელევიზიო ცენტრების ერთ-ერთი უმაღლესი გადამცემი ანტენა. ანტენის დიდი სიმაღლე შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გავადიდოთ გადაცემათა მიღების რადიუსი. თბილისის ტელეცენტრის გადაცემებს კარგად დაინახავენ არა მარტო საქართველოს ბევრი რაიონის, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის მცხოვრებლებიც.

ტელეცენტრი ძირითადად აღჭურვილია ლენინგრადის ქარხნებში დამზადებული მოწყობილობით. ახლა ამ ქარხნების წარმომადგენლები აწყობენ და აწესრიგებენ დანადგარებს.

სატელევიზიო მოწყობილობის ამწყობთა და მემონტაჟეთა ჯგუფების ხელმძღვანელები გ. პოტიომკინი და ვ. ეგოროვი იღებენ ზომებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ ყველა სამუშაო. ლენინგრადელებთან ერთად მუშაობენ თბილისელი სპეციალისტებიც. ესენი არიან ინჟინრები ვ. სალიბეგაშვილი, ვ. ენდელი, რ. ბეგიაშვილი, გ. კორძახია, საამქროს უფროსი მ. ზაენჩიკი და სხვ. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო სპეციალურად ამზადებს ინჟინერ-ტექნიკოსებსა და რადისტებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან სატელევიზიო ტექნიკას.

რას ნახავენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სატელევიზიო გადაცემებში ახლო მომავალში? მათ უჩვენებენ კინოფილმებს. სამაკეტო-სადიქტორო სტუდიიდან გადაცემულ იქნება ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, ჩვენი მეცნიერების, წარმოების ნოვატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გამოსვლები.

თბილისის ტელეცენტრის სპეციალური განაცხადების მიხედვით მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების სატელევიზიო ცენტრები ფირზე ჩაწერენ თავიანთ პროგრამებს, რომლებიც შემდეგ ეკრანიზებულ იქნება ჩვენი მაყურებლებისათვის. მოძრავი სადგურების მიღებისთანავე



დაიწყება სპექტაკლების ტრანსლაცია თბილისის თეატრებიდან, გადაცემულ იქნება სპორტული სანახაობანი.

პირველ ხანს გადაცემები იწარმოებს კვირაში სამჯერ, თითო ორი საათის ხანგრძლივობით. ტელევიზორები დაიდგმება როგორც ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა ბინებში, ისე საზოგადოებრივ ადგილებში — კლუბებში, კულტურის სახლებში ფაბრიკებისა და ქარხნების საამქროებში.



1957 წლის პირველი კვარტალიდან ლენინის ქუჩაზე ზოოპარკთან დაიწყება თბილისის ტელეცენტრის სასტუდიო კომპლექსის მშენებლობა. ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდება გადაცემების პროგრამა. ამ სტუდიებში განხორციელდება თეატრალური დადგმები, რომელთა ტრანსლაცია მოხდება უშუალოდ ეთერში, მოეწყობა სპეციალური კინოგადაღებები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მოუთმენლად მოელიან პირველ ტელეგადაცემებს. შორს არ არის ის დღე, როცა მათ ბინებში ტელევიზორების ეკრანები განთდება.

ვლ. გინზბურგი.

სურათებზე: ზევით — ტელეცენტრის კინოსაპროექციო დარბაზი. მომმართველი მ. ხამხინი, ინჟინერი რ. ბეგიაშვილი და მეცნიერი ვ. მოროზოვი აწესრიგებენ კინოსაპროექციო კამერებს; კინოსააპარატო დარბაზის პულტის მომართვა; წრეში — ტელეცენტრის სტუდია. უფროსი ინჟინერი გ. კორძახია მართავს სატელევიზიო კამერას; მარჯვნივ — სატელევიზიო კოშკი მთაწმინდაზე.

ტყიბულელ მექანიკოსთა ძეგლი

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ადმინისტრაციული შენობის წინ დაიდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გ. ჯ. (სერგო) ორჯონიკიძის ძეგლი.

უკრაინელ მშრომელთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). აქ იმყოფება უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაციის პირველი ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობით. მახარაძელმა კოლმეურნეებმა სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

— უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვართ მახარაძელ კოლმეურნეთა გულთბილი შეხვედრით, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ალ. კორსუნმა.

გენიჩესკელი სტუმრები ჩამოსვლის პირველ დღესვე ეწვივნენ სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას და გულდასმით ეცნობიან მის მუშაობას, ინტერესით ათვალიერებენ სუბტროპიკული კულტურების ბაღებს.

— ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან, — მიმართა სტუმრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯავჯიეშვილმა, — ჩვენს კოლმეურნეობებს შორის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჩვენს საერთო წინსვლას.

სტუმრებს შორის არიან კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ თავმჯდომარე ამხ. ი. გავრილოვი, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მწყემსი პ. სტუპაკი, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ლუბა ლობურსკაია.

გენიჩესკელ მშრომელთა დელეგაცია მახარაძის რაიონში რამდენიმე დღეა დარჩება. იგი შეაჯამებს ორი მოძმე რაიონის კოლმეურნეთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

* * *

გუშინ, 23 ნოემბერს მახარაძეში ჩამოვიდა გენიჩესკელ კოლმეურნეთა დელეგაციის ნაწილი 20 კაცის შემადგენლობით, რომელიც თან ჩამოჰყვა უკრაინელ კოლმეურნეთა საჩუქრების ეშელონს. ეშელონი შედგება 11 ვაგონისაგან, რომელშიც არის 57 სული მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ძროხა, 33 სული თეთრი ვენის ჯიშის ღორი, რამდენიმე ვაგონი პურის ფქვილი საახალწლოდ მახარაძელი კოლმეურნეებისათვის.

ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად მახარაძის რკინიგზის სადგურზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. სამაშვილმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ა. კორსუნი, მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. რუსიეშვილი. ამავე რაიონის განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჩხაძე.

მახარაძელმა კოლმეურნეებმა გულთბილი, ძმური შეხვედრა მოუწყეს ძვირფას სტუმრებს და უღრმესი მადლობა უძღვნეს საჩუქრისათვის.

რაიონის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს გენიჩესკელ კოლმეურნეთა დელეგაციის იქ ყოფნისადმი.

სერგო ორჯონიკიძის ძეგლი

წლიური დავალება შესრულებულია

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივს მეექვსე ხუთწლედში დიდი და პასუხსაგები ამოცანის შესრულება დაეკისრა. ეს საწარმო საკიდი კონვეიერების დამამზადებელ-გამომშვები ერთადერთი საწარმოა მთელ საბჭოთა კავშირში და ფართო ნომენკლატურის სხვა პროდუქციის გამოშვებასთან ერთად მას დაეკისრა ასეთი კონვეიერებით მრეწველობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საკიდი კონვეიერები, როგორც ცნობილია, საჭირო მანქანათმშენებლობაში, კვების, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და ამ საწარმოთა კოლექტივებს აძლევს ფართობის ეკონომიის, საწარმოო კორპუსების მოცულობის რაციონალურად გამოყენების საშუალებას.

საკიდი კონვეიერების გამოშვებაში მტკიცე რიტმის ასაღებად, პროდუქციის გამოშვების თანდათანი ზრდის უზრუნველსაყოფად ქარხნის კოლექტივმა გულდასმით შეისწავლა ყველა ადგილობრივი შესაძლებლობა, დაამუშავა ღონისძიებები პროდუქციის მზარდი რაოდენობით გამოშვების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ქარხნის ხელმძღვანელებმა წლის დასაწყისშივე ვიცოდით, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ კოლექტივს პირნათლად შეესრულებინა დიდმნიშვნელოვანი დავალება, და ამან დიდად გაგვიადვილა მუშაობის კარგად მოწყობა: ცალკე საწარმოო უბნებზე შემოვიღეთ ორ და სამ ცვლად მუშაობა, მოვახდინეთ დანადგართა პარკის მოდერნიზაცია, დავნერგეთ ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, განვახორციელეთ მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ყოველივე ამით შევქმენით პირობები შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

ქარხნის კოლექტივმა, როგორც ეს უკვე გამოქვეყნდა პრესაში, მიმდინარე წლის დავალება ვადამდე ორი თვით და სამი დღით ადრე შეასრულა, იკისრა დამატებით წლის ბოლომდე სულ ცოტა 2,5 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რაციონალიზატორებმა ი. მირზოევმა, ა. ფერიაშვილმა, ა. სუკიასოვმა და სხვებმა, რომლებსაც წელს შექმნილი აქვთ შემოქმედებითი მუშაობის ხელსაყრელი პირობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საწარმოს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელობის მხრივ შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენამ მთელი კოლექტივის დაინტერესება გამოიწვია, ხელი შეუწყო მასების ინიციატივის გამოჩენას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, დაიჩქარა წარმოების მოწინავე ადამიანთა რიგების ზრდა. ქარხანაში ახლა მრავლად არიან ისეთი მუშები, მაგალითად, ხარატი ვ. ნიკოლაიშვილი, მღარავი ვ. ბესპლემეხოვი, ლითონმკვეთავი ა. ვაშაკიძე, ზეინკალი გ. ქახიანი და სხვები, რომლებიც გამომუშავების ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ.

დიდი გავლენა მოახდინა ქარხნის მუშაობის გაუმჯობესებაზე და კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებაზე პარტიულ-სამეურნეო მუშაობის გაძლიერებამ, კერძოდ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მუშაობამ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებაში დიდად შეგვიწყო ხელი სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლამ და შეჯიბრებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის მოწყობამ.

გ. ჯაფარიძე,
თბილისის მექანიკური ქარხნის დირექტორი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია გზა გადაუღობოს აგრესიისა და რეაქციის ძალებს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ზ. შეპილოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1956 წლის 22 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე

ბატონო თავმჯდომარეო, ბატონო დელეგატებო!

გენერალური ასამბლეის XI სესია რთულ საერთაშორისო ვითარებაში შეიკრიბა. უკანასკნელი კვირეების მანძილზე მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში გააქტივდნენ აგრესიისა და შავბნელი რეაქციის ძალები, რომლებიც ისწრაფვიან კაცობრიობა ჩააგდონ ახალი უბედურების, ახალი მსოფლიო კონფლიქტების მორევში.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო ვითარების მთავარი ნიშანი იყო დაძაბულობის შენელება. მშვიდობისმოყვარე ქვეყნები წინ მიდიოდნენ და თანდათანობით აღწევდნენ სადავო საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით და აჭრობდნენ ომის საშიშ კერებს. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ამ კეთილშობილურ საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა. არა მხოლოდ თქვენი ყურადღება შევაწყოს ყველა იმ კონსტრუქციული ღონისძიების ჩამოთვლით, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. ისინი საყოველთაოდ ცნობილია. ეს ღონისძიებანი მოიცავდნენ საერთაშორისო პრობლემების უფართოეს წრეს, დაწყებული კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისათვის ბრძოლით და დამთავრებული ქვეყნების უმრავლესობასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ნორმალიზაციით.

საერთაშორისო დაძაბულობის რეალურად მიღწეულმა შეხელებამ შესაძლებელი გახადა 1955 წლის ზაფხულში მოწყობილიყო ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, რომელიც მოასწავებდა დიდმნიშვნელოვან ეტაპს ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

„ჟენევის სულისკვეთება“ აღმოაჩინეს ხალხებმა, რომლებიც უარყოფენ „ცივი ომის“ პოლიტიკას მთელი მისი დამოუკიდებელი შედეგებით.

მაგრამ „ჟენევის სულისკვეთება“ არ მოსწონთ ზოგიერთ გავლენიან წრეებს, რომელთა ინტერესები დაკავშირებულია გამალებულ შეიარაღებასთან. მათი გეზი იყო და არის საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავება საშიში პროვოკაციებისა და ავანტიურების პოლიტიკის დახმარებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი მდგომარეობა ყველა მის მოღვაწეს ავალებს საღი, რეალისტური შეფასება მისცეს საერთაშორისო ცხოვრების ყოველ ახალ ეტაპს. დღეს არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის ძალებმა მოახერხეს საგრძნობი დარტყმა მიეყენებინათ მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის და მნიშვნელოვნად გაეძლიერებინათ საერთაშორისო დაძაბულობა.

ამას წინათ ახლო აღმოსავლეთში გაჩაღდა საომარი მოქმედება, რომელიც წარმოადგენს არაბთა სამყაროს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეთქმულების შედეგს. ჩვენს დროში ყოველი ლოკალური სამხედრო კონფლიქტი შეიძლება დიდ ხანძრად გადაიქცეს. რაც შეეხება ომს ახლო და შუა აღმოსავლეთის ზონაში, ესე იგი იმ ზონაში, რომელსაც პირველხარისხოვანი პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ასეთი ომი, თუ იგი დასაწყისშივე არ იქნა ჩაქრობილი, ახალ მსოფლიო სისხლისღვრას გამოიწვევს. მართლაც, ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებულმა თავდასხმამ ეგვიპტეზე შექმნა მშვიდობის საქმისათვის საშიში მდგომარეობა და ხალხთა წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა მესამე მსოფლიო ომის საფრთხის საკითხი.

აღმოსავლეთ ევროპაში უნგრელმა ფაშისტმა შეთქმულებმა, რომლებსაც გარედან მხარს უჭერდნენ საერთაშორისო რეაქციის ძალები, სცადეს დაემხოთ სახალხო-დემოკრატიული წყობილება, უნგრელი ხალხისათვის წაერთმიათ მოპოვებული დემოკრატიული თავისუფლებანი და უნგრეთი კვლავ გადაექციათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უუფლებო ვასალად. ეს ცდები ჩაიფუშა.

აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ და ფაშისტური პუტჩი უნგრეთში ერთი და იმავე ჯაჭვის რგოლებია. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამით თავს იჩენს შორს გამიზნული და საშიში შედეგებით აღსავსე განზრახვა იმ საერთაშორისო ძალებისა, რომლებიც ისწრაფვიან შეაფერხონ კაცობრიობის წინსვლა თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორკვევის გზით, აღადგინონ კოლონიური ბატონობა იქ, სადაც იგი დამხობილია, ხელისუფლების სათავეში დააბრუნონ ანტიხალხური რეჟიმები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი განადგურდნენ.

ამ პირობებში განსაკუთრებით ძლიერდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის. ახლა სასწორზეა დადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟი და მომავალი, რადგან მან საქვეყნოდ იკისრა ვალდებულება „ისწავლა მომავალი თაობები ომის უბედურებისაგან, რომელმაც ჩვენს სიცოცხლეში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას გამოუთქმელი მწუხარება“.

ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ

უკანასკნელი კვირეების მანძილზე მთელი მსოფლიოს დაძაბული ყურადღება მიპყრობილია ეგვიპტეში გაჩაღებული მრისხანე ამბებისადმი. ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის არაპროვოცირებულმა აგრესიამ ეგვიპტის წინააღმდეგ დიდად აღიღლვა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. მთელი დედამიწის მშვიდობისმოყვარე ძალები კარგად ხედავენ ეგვიპტელ ხალხზე ისრაელის, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული თავდასხმის ვერაგულ, უსამართლო, კოლონიზატორულ ხასიათს. ამავე დროს სავსებით ნათელია, რომ თავს დაესხა რა ეგვიპტეს, ისრაელი წამომწყების პროვოკაციულ როლს ასრულებდა ფართოდ მოფიქრებული დაპყრობითი ოპერაციის მოწყობაში, რომლის მთავარი მონაწილეებიც ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ.

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა ოფიციალურ დოკუმენტებში აყენებდნენ და ახლაც აყენებენ სხვადასხვა მოტივს ეგვიპტეზე აგრესორების უეცარი თავდასხმის ასახსნელად. მაგრამ ეს მოტივები ოდნავაც ვერ უძლებენ კრიტიკას.

კრიტიკას ვერ უძლებს არასერიოზული თეზისი, თითქოს ინგლისელმა და ფრანგმა დამპყრობლებმა ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიული ომი იმისათვის დაიწყეს, რომ „შეეწყვიტათ საომარი მოქმედება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის და გაეზავებინათ მეომარი მხარეები“, როგორც ეს განაცხადა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა იდენმა. განა პორტ-საიდის დაბომბვა ზღვიდან და ჰაერიდან, პორტ-საიდის მჭიდროდ დასახლებული არაბთა ისეთი უბნების საზარელი დანგრევა, როგორიცაა ათ-თამილი, ალ-მანახი, აბასისა და სხვა ქუჩები, „მეომარი მხარეების დაზავების“ მიზნებს ემსახურებოდა? განა პორტ-საიდის ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, უმთავრესად ქალისა და ბავშვის, უსმობელი მოსპობა, თვითმფრინავიდან ცეცხლის დაშენა ჰელოპოლისის მცხოვრებთათვის, რომელნიც წყნარად ელოდნენ ტრამვაის, ავტობუსების იკლესიის დანგრევა კაიროში, ფოსტამტისა და კათოლიკური კოსტიოლის დანგრევა ალექსანდრიაში — განა ყოველივე ეს იმისთვის ხდებოდა, რომ „მეომარი მხარეები გაეზავებინათ“? ვინ არ იცის, რომ ყველა ამ პუნქტში ერთმანეთს არ შეხვედრიან „მეომარი მხარეები“ (ეგვიპტე და ისრაელი) და საჭიროც არ ყოფილა, რომ ისინი „გაეზავებინათ“?

კრიტიკას ვერ უძლებს აგრეთვე ხშირი ხმარების გამო გაცვეთილი აგრესორთა ყალბი მტკიცება, რომ ეგვიპტეში თითქოს იყო „საშინელი კომუნისტური შეთქმულება“ მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთის დასაპყრობად, მთელი მისი ნავთობის სიმდიდრის დასაპყრობად და ამიტომ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესორები თავს ვერ აარიდებდნენ იმას, რომ დაპირისპირებოდნენ ამ საშიშროებას. ეს მოტივი, რომელიც გარკვევით გაისმა ბ-ნ პინოს დღევანდელ სიტყვაში, ალბათ შეიძლება საფუძვლად დაედოს ჰოლივუდის რომელიმე პოპულარულ ფილმს, მაგრამ იგი უადგილოა, როცა საქმე ეხება ისეთი მძიმე მოქმედების მიზეზების ანალიზს, როგორიც არის ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული თავდასხმა ეგვიპტელ ხალხზე. უკვე ბანალობად გადაიქცა, რომ, თუ აგრესორებს არაფერი ეთქმით თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედების გასამართლებლად, ისინი ჩვეულებრივად გამოათრევენ ხოლმე კომუნიზმის საფრთხოსანს.

კრიტიკას ვერ უძლებს ვერც იმის დამოწმება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ თითქოს დაკავშირებული იყოს მათს მისწრაფებასთან უზრუნველყონ თავისუფალი ნაოსნობა სუეცის არხით.

ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეგვიპტის სახელმწიფომ საქმით უზრუნველყო თავისუფალი ნაოსნობა არხით; განხორციელებული ნაციონალიზაციის შემდეგ არხი უნაკლოდ მუშაობდა და არავითარი საფრთხე თავისუფალ ნაოსნობას არ მოელოდა. აგრესორები იმის საწინააღმდეგოდ, რასაც აცხადებდნენ, არა მარტო არ ზრუნავდნენ სუეცის არხით თავისუფალი ნაოსნობის უზრუნველყოფისათვის, არამედ, პირიქით, თავიანთი მოქმედებით დიდი ხნით გამოიყენეს მწყობრიდან ეს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო წყლის არტერია. ინგლისსა და საფრანგეთს აკისრიათ პირდაპირი პასუხისმგებლობა არხით ყველა მოსარგებლის წინაშე თავისუფალი ნაოსნობის შესახებ 1888 წლის კონვენციის აშკარა დარღვევისათვის.

მეორე, რა უფლების ძალით ცდილობდნენ და ცდილობენ ინგლისი და საფრანგეთი მონოპოლიურად გადაწყვიტონ სუეცის პრობლემა, რომელიც შეეხება ბევრი სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირის, სასიცოცხლო ინტერესებს და ამასთან ერთად უხეშად გათელონ ფეხქვეშ ეგვიპტის სუვერენიტეტი?

მესამე, რა საფუძვლით მიმართეს ინგლისმა და საფრანგეთმა შეიარაღებული ძალების გამოყენებას იმ საკითხის გადასაჭრელად, რომელზეც უშიშროების საბჭომ სულ ამ ცოტა ხნის წინათ თავისი გადაწყვეტილება მიიღო? თქვენ იცით, რომ უშიშროების საბჭომ დაამტკიცა ექვსი შეთანხმებული პრინციპი, რომელთა რეალიზაცია გამოიწვევდა სუეცის საკითხის მშვიდობიანი გზით სრულ მოწესრიგებას. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ყველგან მიესალმენ როგორც მშვიდობისმოყვარე ძალების დიდ წარმატებას. ინგლისმა და საფრანგეთმა ხმა მისცეს ამ პრინციპებს და დათანხმდნენ დაეწყოთ მოლაპარაკება ეგვიპტესთან. ახლა ცხადია, რომ ეს იყო ყალბი ჟესტი, რომლის მიზანი იყო მეეძინებინათ მშვიდობისმოყვარე ხალხთა სიფხიზლე და მოემზადებინათ უეცარი თავდასხმა ეგვიპტეზე.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის თავდასხმა ეგვიპტეზე, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული მოტივებით რიდია გამოწვეული, რომლების გამოგონებას ახლა ცდილობენ აგრესორები, რათა მიჩქმალონ თავიანთი ნამდვილი განზრახვა. უდავო ფაქტები ცხადყოფენ, რომ ეგვიპტეზე თავდასხმა იყო მზოლოდ იმპერიალისტთა მიერ მოფიქრებული დიდი სტრატეგიული გეგმის შესრულების დასაწყისი.

კოლონიზატორებს მხედველობაში ჰქონდათ გაებათილებინათ ეგვიპტის სახელმწიფოს გადაწყვეტილება სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ და კვლავ ხელში ჩაეგდოთ იგი. ისინი აპირებდნენ გაენადგურებინათ ეგვიპტე, რომელმაც გაბედა დაეცვა თავისი სუვერენული უფლებანი, გადაეგდოთ იმპერიალისტებისათვის არასასურველი ეგვიპტის მთავრობა და წამოეჩოქებინათ ეგვიპტელი ხალხი. მათ სურდათ პირდაპირი საომარი მოქმედებით არაბი ხალხების წინააღმდეგ მოესპოთ ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, აღადგინათ ამ ქვეყნების ხალხთა მიერ დამხობილი კოლონიური ჩაგვრის რეჟიმი, აღადგინათ იმპერიალისტთა მიერ აქ დაკარგული პოზიციები, პრივილეგიები და გამდიდრების წყაროები.

ისრაელის, ხოლო შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო თავდასხმა ეგვიპტეზე იყო, ვიმეორებ, მხოლოდ პირველი ნაბიჯი იმპერიალისტ მჩაგვრელთა საერთო კოლონიზატორული გეგმის განხორციელების გზაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ავალებს ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება და გაიყვანონ თავიანთი ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ პირველ ხანებში ვერ მოახდინა ჯეროვანი მოქმედება.

შეიქმნა ჭეშმარიტად ტრაგიკული სიტუაცია. ეგვიპტე, რომელიც სასხლად იღვრებოდა და რომლის მშვიდობიან მოსახლეობას თავს დაატყდა ინგლისისა და საფრანგეთის ბომბები, მოითხოვდა დახმარებას. ყოველგვარი დაყოვნება კატასტროფით ემუქრებოდა ეგვიპტეს და აფართოებდა ომს. ამ პირობებში საბჭოთა კავშირმა საჭიროდ მიიჩნია, რომ განხორციელებულიყო გადამწყვეტი მოქმედება. 5 ნოემბერს მან მოუწოდა უშიშროების საბჭოს წინადადება მიეცა ინგლისს, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებისათვის დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ყველა საომარი მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ და სამი დღის ვადაში გაეყვანათ ეგვიპტის ტერიტორიაზე შეჭრილი ჯარები. ამავე დროს სსრ კავშირმა ურჩია უშიშროების საბჭოს საჭიროდ ეღიარებინა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, რომელთაც აქვთ მძლავრი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტები, შეიარაღებული და სხვა დახმარება გაეწიათ აგრესიის მსხვერპლისათვის— ეგვიპტის რესპუბლიკისათვის — სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების, ჯარის ნაწილების, მოხალისეების, ინსტრუქტორების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სახეობათა დახმარების გაგზავნის გზით, თუ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი არ შეასრულებდნენ აღნიშნულ ვადაში უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას აგრესიის შეწყვეტის შესახებ.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა სახელმწიფოებთან ერთად გაერთიანებულიყო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ღონისძიებანი აგრესიის აღსაკვეთად და შემდგომი სისხლისღვრის შესაწყვეტად. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მხარი არ დაუჭირა საბჭოთა კავშირის ინიციატივას, რომელიც ნაკარნახევი იყო ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების სიმწვავით და მშვიდობის შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

ბოლოს სსრ კავშირმა მოუწოდა ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს გაითვალისწინონ ეგვიპტეზე მათი თავდასხმის შედეგად შექმნილი სატუაციის მთელი საშიშროება და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია. საბჭოთა მთავრობამ ამასთან განაცხადა, რომ იგი მზად არის გაერთიანებული ერების გადაწყვეტილებით სხვა სახელმწიფოებთან ერთად რეალურად მიიღოს მონაწილეობა თავისი შეიარაღებული ძალებით ახლო აღმოსავლეთში აგრესიის ლიკვიდაციაში.

ბოროტგანზრახული ანტისაბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა და დღემდე ცდილობს საბჭოთა მთავრობის ეს მტკიცე გამოსვლები ეგვიპტეში აგრესიის წინააღმდეგ წარმოადგინოს როგორც ამ რაიონში სსრ კავშირის რაღაც განსაკუთრებული, ანგარებითი დაინტერესების დადასტურება. ცილისმწამებლები ამტკიცებდნენ და ახლაც ცდილობენ ამტკიცონ, თითქოს სსრ კავშირი ახლო აღმოსავლეთში ისახავს რაღაც განსაკუთრებულ ეგოისტურ მიზნებს დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ.

ამგვარ მტკიცებას არავითარი ნიადაგი არა აქვს. საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს არა აქვს და არც სურს ჰქონდეს ახლო აღმოსავლეთში არც კონცესიები, არც სამხედრო ბაზები, არც რაიმე პოლიტიკური, ეკონომიური ან სამხედრო ხასიათის პრივილეგიები. საბჭოთა სახელმწიფოსათვის უაღრესად უცხოა რაიმე ექსპანსიონისტური მისწრაფებანი. ყოველივე ეს შეუთავსებელია ჩვენს პრინციპებთან. ამასთან, საბჭოთა კავშირი, ისე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფო, დაინტერესებულია სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფით.

ბატონებო! საბჭოთა კავშირის დელეგაცია დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საომარი მოქმედება ეგვიპტეში ახლა შეწყვეტილია. ეგვიპტის გმირი ხალხის მამაცურმა წინააღმდეგობამ, რომელიც თავის სამართლიან ბრძოლაში ეყრდნობოდა მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის უდიდეს მორალურ მხარდაჭერას, აიძულა აგრესორები უკან დაეხიათ. ეს წარმატება საგულისხმოა, სხვათა შორის, იმით, რომ ორი დიდი სახელმწიფო, რომლებსაც პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკა აქვთ, უძლურნი აღმოჩნდნენ გაეტეხათ ახალგაზრდა, სამხედრო მხრივ გაცილებით უფრო სუსტი, მაგრამ თავისი დაუცხრომელი სულით ძლიერი ეგვიპტის რესპუბლიკის წინააღმდეგობა. ეს მაგალითი აღაფრთოვანებს ყველა ხალხს, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამრიგად, ომის ხანძარმა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში იფეთქა, იწყო ჩაქრობა. მაგრამ ახალი ნაცრის ქვეშ ჯერ კიდევ ღვივის ცეცხლი, რომელმაც, თუ ამისათვის არ გიზრუნეთ, შეიძლება ახალი ძალით გააჩაღოს მძვინვარე ალი.

საბჭოთა კავშირი სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ, თუმცა ცეცხლი ეგვიპტეში ფორმალურად შეწყვეტილია, მაგრამ ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების გაყვანა ყოვნდება, ხოლო, ზოგიერთი ცნობით, წარმოებს ინტერვენტთა შეიარაღებული ძალების დაგროვებაც კი ამ რაიონში. ეგვიპტის მთავრობის ნოტაში, რომელიც 18 ნოემბერს გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, აღნიშნულია, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არათუ არ გაჰყავთ შეიარაღებული ძალები ეგვიპტიდან, არამედ „განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს ეგვიპტის ტერიტორიაზე“. „ეს შეიარაღებული ძალები, — აღნიშნულია ნოტაში, — განაგრძობენ თავიანთ აგრესიულ მოქმედებას პორტ-საიდსა და არხის ზონაში, ცეცხლს უშენენ სამოქალაქო მოსახლეობას, რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვა. ამას უნდა დაემატოს კერძო სახლებისა და მაღაზიების ჩხრეკა და ძარცვა, რეპრესიებისა და ძალადობის გამოყენება, რათა აიძულონ ეგვიპტელი მუშები „მუშაონ აგრესიული ძალებისათვის“. ასეთ მდგომარეობას შეიძლება სერიოზული საფრთხე მოჰყვეს.

სანამ ეგვიპტის ტერიტორიაზე რჩებიან აგრესორთა ჯარები, მანამდე არ არის არავითარი გარანტია, რომ ომი არ განახლდება. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ გენერალურმა ასამბლეამ კვლავ უაღრესად მტკიცედ უნდა მოითხოვოს ეგვიპტიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ და მთლიანად გაყვანა, ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ ისრაელის მმართველ წრეებს, მაგალითად, არა სურთ გაიყვანონ ჯარები ღაზის რაიონიდან, გამოაცხადეს რა ეს რაიონი „თავისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად“.

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა აშკარად გამოხატავს ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართულ თავის ანექსიონისტურ გეგმებს, რომლებიც შეიცავენ ღაზის რაიონის, სინას ნახევარკუნძულის, აკაბის ყურეში ტირანისა და სანაფირის კუნძულების შეერთებას ისრაელთან.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭიროა ისეთი ღონისძიებების მიღება, რომლებიც გამორიცხავენ მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის ახალი პროვოკაციების შესაძლებლობას და უზრუნველყოფენ მშვიდობასა და მყუდროებას ახლო აღმოსავლეთში.

კვთილგონიერების ხმამ უნდა უკარნახოს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებს, რომ საჭიროა გაიყვანონ ჯარები ეგვიპტიდან გაუჭიანურებლად და არ მიიყვანონ საქმე ახალ გამწვავებამდე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგვიპტის მხარეზეა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სიმპათია.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მიერ მაღებულ გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საპოლიციო ძალების შექმნის შესახებ, აქ თავისთავად იბადება შემდეგი მოსაზრებანი.

ჯერ ერთი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ საერთაშორისო შეიარაღებული საპოლიციო ძალების შექმნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის თანახმად, შეადგენს უშიშროების საბჭოს პრეროგატივს. ამ შემთხვევაში წესდების ეს მოთხოვნა აშკარად დარღვეული იყო.

მეორე, ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანისას საჭირო არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საპოლიციო ძალები.

მაგრამ საბჭოთა დელეგაცია ითვალისწინებს, რომ ეგვიპტე დათანხმდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შეყვანაზე. ამასთან იგულისხმება, რომ საერთაშორისო ჯარები შეიძლება განლაგდნენ ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სადემარკაციო ხაზის გაყოლებით, რომელიც თავის დროზე დაწესებული იყო დაზავების შეთანხმებით. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ჯარები არ უნდა დარჩნენ პორტ-საიდში და საერთოდ სუეცის არხის ზონაში მას შემდეგ, რაც ინგლისისა და საფრანგეთის ნაწილები დატოვებენ პორტ-საიდს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემდგომი ყოფნა ამ რაიონში ეწინააღმდეგება კონსტანტინეპოლის 1888 წლის კონვენციას და ნიშნავს ეგვიპტის სუვერენული უფლებების აშკარა შელახვას. თავისთავად იგულისხმება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ აგრეთვე სადემარკაციო ხაზი და საერთოდ ეგვიპტის ტერიტორია, როგორც კი ამას საჭიროდ მიიჩნევს ეგვიპტის რესპუბლიკა.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ის საგანგაშო ფაქტს, რომ ინგლის-საფრანგეთის გავლენიანი წრეები, აგრეთვე ამერიკის ზოგიერთი წრეები ეგვიპტეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გაგზავნას უკავშირებენ შორს გამიზნულ და უაღრესად საშიშ ვარაუდებს. საქმე ეხება ეგვიპტის მართვიდან სუეცის არხის ამოღებისა და არხისადმი უცხოეთის ამა თუ იმ ფორმის „საერთაშორისო“ კონტროლის დაწესების გეგმებს. მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები განლაგდნენ სუეცის არხის მთელ ზონაში და დარჩნენ იქ მანამდე, სანამ არ მოხერხდება თავს მოახვიონ ეგვიპტეს სუეცის პრობლემის გადაჭრა დასავლეთის სახელმწიფოების ცნობილ წინადადებათა საფუძველზე.

ასეთი მსჯელობა იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ კოლონიურ ომში დამარცხებულ სახელმწიფოებს, როგორც ჩანს, სურთ სუეცის არხში უცხოელთა შეიარაღებული ძალების ყოფნა გამოიყენონ ამ არხის „ინტერნაციონალიზაციის“ ძველი გეგმების განსახორციელებლად.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ფუნქციათა ასეთ განმარტებას პრაქტიკულად შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ეგვიპტის სუვერენიტეტის გათელვა, 1888 წლის საერთაშორისო კონვენციის დარღვევა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შეუერთდეთ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს სწორ შენიშვნას, რომელმაც, შეეხო რა სუეცის არხის საკითხს, განაცხადა 16 ნოემბერს: „ეს საკითხი უნდა განიხილონ ცალკე და მხოლოდ მშვიდობის აღდგენისა და უცხოელთა ჯარების გაყვანის შემდეგ. საერთაშორისო საპოლიციო ძალები არ უნდა შეეხონ სუეცის არხს, როგორც ასეთს. მათი მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ უზრუნველყონ ისრაელის შეიარაღებული ძალების წასვლა დაზავების წინანდელი შეთანხმების საფუძველზე დაწესებულ სადემარკაციო ხაზს იქით“.

ცხადია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ძალების განლაგებისა და ეგვიპტის ტერიტორიაზე მათი ყოფნის ვადების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ეგვიპტის მთავრობის თანხმობით. ცხადია აგრეთვე, რომ არსებითად არ შეიძლება განიხილონ და გადაწყვიტონ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხი და პალესტინის საკითხი მანამდე, სანამ ინგლისელ, ფრანგ და ისრაელ აგრესორთა ჯარებს მთლიანად არ დაუტოვებიათ ეგვიპტის ტერიტორია.

ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღირსების საქმე, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღირსების საქმეა უზრუნველყონ ეგვიპტის ტერიტორიიდან დამპყრობთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მოსთხოვოს აგრეთვე ინგლისს, საფრანგეთსა და ისრაელს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყოველგვარი მოქმედება, რომელიც საფრთხეს ან დაძაბულობას ქმნის ისრაელ-იორდანიისა და ისრაელ-სირიის საზღვრებზე (ჯარების კონცენტრაცია საზღვრებზე, მზვერავი თვითმფრინავების ფრენა და სხვ.), რათა არაბთა აღმოსავლეთის ამ ზონაში მიღწეულ იქნას ნამდვილი დაშმშინება. ცალკეული ფაქტები მოწმობენ, რომ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის გარკვეული წრეები ახალ აგრესიულ გეგმებს ამზადებენ არაბთა აღმოსავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა ამხილოს და აღკვეთოს ამგვარი ზრახვები.

მხოლოდ ბეც ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიას ან საფრანგეთის კოლონიურ ხელისუფალთა სადამსჯელო მოქმედებას ალეერში შეუძლია განამტკიცოს კოლონიალიზმის პოზიციები. ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებმა როგორც იმ ხალხებმა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ეროვნული განთავისუფლება, ისე იმ ხალხებმაც, რომელნიც ჯერ კიდევ იბრძვიან მისთვის,— საკუთარ ხელში აიღეს თავიანთი ბედი. შეუძლებელია მათი ეროვნული აღორძინების დიადი პროცესის შეჩერება.

ცდა — უნგრეთის საკითხი გამოიყენონ საერთაშორისო ვითარების გასამწვავებლად

ბატონებო! ჩვენი საერთო დისკუსია შეწყვეტილ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველად დაისვა კუბის დელეგაციის რეზოლუცია ეგრეთწოდებულ „უნგრეთის საკითხზე“. როგორც მოსალოდნელი იყო, კამათმა კუბის პროვოკაციული რეზოლუციის შესახებ და მისმა მოწონებამ ასამბლეის უმრავლესობის მიერ არათუ ხელი არ შეუწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, არამედ, პირიქით, უფრო გაახურა ატმოსფერო და მძიმე ლახვარი ჩასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს.

ამ კამათის შინაარსმა, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლის ხასიათმა და კილომ ცხადყვეს, რომ ასამბლეის დღის წესრიგში „უნგრეთის საკითხის“ შეტანის ინიციატორები სულაც არ ხელმძღვანელობდნენ უნგრელი ხალხისადმი სიმპათიის გრძნობით, მიუხედავად ამის შესახებ თავიანთი მაღალფარდოვანი დეკლარაციებისა. მათ ესაჭიროებოდათ საბაბი, ესაჭიროებოდათ ხელჩასაჭიდი, რათა საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოეშორებინათ ეგვიპტეში კოლონიზატორთა შეიარაღებული აგრესიისათვის, არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიის მომზადებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოეწყოთ პოლიტიკური კამპანია სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და სრულად აღედგინათ „ცივი ომი“.

რათ ესაჭიროებოდათ ეს? ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ მხოლოდ ერთი პასუხი: მთელი საქმე ის არის, რომ აგრესიულ ძალებს, რომლებიც მსოფლიო ასპარეზზე მოქმედებენ, არა სურთ შეურიგდნენ ხალხთა მასების სულ უფრო მზარდ მისწრაფებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი, სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა შორის მ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია გზა გადაუღობოს აგრესიისა და რეაქციის ძალებს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1956 წლის 22 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე

(გაგრძელება)

დიადი პრინციპის წინააღმდეგ. ეს განყენებული თეორიული ბრძოლა როდია. მას სავსებით კონკრეტული აზრი აქვს და ის, რაც უნგრეთში მოხდა, წარმოადგენს მის ერთ-ერთ ქმედით გამოვლინებას.

რეაქციისა და აგრესიის ძალები, რომლებიც გამოდიან ორი სოციალურ-ეკონომიური სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების წინააღმდეგ, აშკარაა, არ არიან დარწმუნებულნი, რომ ისინი შეძლებენ დაამტკიცონ თავიანთი წყობილების უპირატესობა ამ შეჯიბრებაში. სწორედ ამიტომ ისინი ხმარობდნენ და ხმარობენ ახლა ამდენ ღონისძიებას, რათა ააღორძინონ სრული მოცულობით „ცივი ომი“, რომელმაც იწყო ჩაქრობა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შემდეგ.

მშვიდობის საქმისათვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინება „ცივი ომის“ პოლიტიკისა, რომელსაც ამჟამად რეაქციული წრეები აღორძინებენ, არის ძირგამომთხრელი მუშაობა, რასაც დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს სათანადო ორგანოები ახორციელებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ ეგრეთწოდებულმა „მუშაობამ“ უკვე დიდი ხანია მიიღო სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უპრეცედენტო ჩარევის ფორმა.

წინა კამათის მსვლელობაში უკიდურესი სიცხადით იყო დამტკიცებული, რომ ფაშისტური პუტჩი უნგრეთში მოეწყო გავლენიანი უცხოელი ძალების აქტიური მონაწილეობით. ფაქტები, რომლებიც ამ ტრიბუნიდან მთელი რიგი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მოიყვანეს, ჯერ კიდევ ცოცხალია ყველას ხსოვნაში და არა გვგონია საჭირო იყოს მათი გახსენება.

ახლა მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო მხოლოდ მთავარი, ძირითადი. ხოლო ეს მთავარი და ძირითადი ის არის, რომ უნგრეთში გარედან წაქეზებული ფაშისტური იატაკქვეშეთი შეეცადა მიტმასნოდა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში სერიოზული შეცდომებისა და დამახინჯებების მოსპობისათვის ჯანსაღ სახალხო მოძრაობას, თავისი კონტროლი დაეწესებინა ამ მოძრაობისადმი და იგი ანტიხალხური მიზნებისათვის გამოეყენებინა. მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურების შემდეგ მსოფლიო პირველად გახდა მოწმე იატაკქვეშეთში გადაჯგუფებული ფაშისტური ძალების პირდაპირი ცდისა — აშკარად გამოეწვიათ დემოკრატიის ძალები და აეღოთ რევანში შეიარაღებული ბრძოლის გზით. და ეს მშვიდობისმოყვარე ძალებს უდიდეს სიფხიზლეს ავალებს.

ჩაუფიქრდით, რა მოხდებოდა, ფაშისტებს რომ უნგრეთში გაემარჯვნათ. საშინელი მხეცობა, რაც ჰორტისტმა ნაბოლარებმა ჩაიდინეს უნგრეთის დედაქალაქის ქუჩებში რამდენიმე დღის პარპაშის დროს, ერთგვარ წარმოდგენას იძლევა, თუ რა ბედს უმზადებდნენ უნგრელ ხალხს.

მაგრამ საქმე მარტო ერთი უნგრეთი როდია. უნგრეთის რეაქციის გამარჯვება გამოიწვევდა ევროპის ცენტრში ფაშისტური სახელმწიფოს გაჩენას, რომელიც გახდებოდა იმ საერთაშორისო რეაქციული ძალების პლაცდარმი, რომლებიც ისწრაფვიან აღორძინონ ფაშიზმი და აიღონ რევანში მთელი ევროპის მასშტაბით. ამრიგად, კონტრრევოლუციური პუტჩის გამარჯვება უნგრეთში მოასწავებდა ევროპაში ომის უსაშიშრეს კერის შექმნას.

მსოფლიოში ცოტა როდია კიდევ მწვავე საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადაჭრაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდებულია თავისი როლი შეასრულოს. ამ პრობლემათა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამჟამად აქვთ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვა ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიის შედეგად. სწორედ ამ, ნამდვილად აქტუალური პრობლემების გადაჭრას უნდა მიექცეს გენერალური ასამბლეის ყურადღება. და შეიძლება მხოლოდ დიდი მწუხარება გამოვთქვათ ომის გამო, რომ ესოდენ დაძაბულ პერიოდში ჩვენს ფორუმს იყენებენ „ცივი ომის“ ისეთი დაბალხარისხოვანი ოპერაციებისათვის, როგორიც იყო ცდა გაეყალბებინათ უნგრეთის საკითხის არსი და გამოეყენებინათ იგი უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

განიარაღების პრობლემა შეიძლება გადაწყდეს და კიდევაც უნდა გადაწყდეს

ბატონებო! ჩვენი პირველი რიგის მოვალეობა ის არის, რომ არა მარტო შევუწყოთ ხელი ახლო აღმოსავლეთში ახალი ომის საშიში კერის ლიკვიდაციას, არამედ შექმნათ აგრეთვე პირობები, რომლებიც გამორიცხავენ მომავალში ასეთი კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობას.

კაცობრიობა უარყოფს ომის გზას და არა სურს იცხოვროს ნახევრადსაომარი ბანაკის პირობებში. კაცობრიობა მოითხოვს სერიოზულად გარდაქმნას საერთაშორისო ურთიერთობა, უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილად ხანგრძლივი და მყარი მშვიდობა. მას სწყურია, რომ საჰაერო განგაშის ხმებმა არ დაარღვიონ ბავშვთა სიმშვიდე, რომ ყველა ადამიანი იმყოფდეს მეცნიერული პროგრესის დიად ნაყოფს, სარგებლობდეს თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევებით. ჩვენ ყოველი იმ პრაქტიკული ღონისძიების მომხრე ვართ, რომელი ხელს უწყობს მშვიდობის საქმეს. **მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობის შენობის არა დროებითი შეკეთება, არამედ იმ პრობლემების ფუნდამენტალური გადაჭრა, რომლებიც კაცობრიობას აღელვებენ.**

საბჭოთა კავშირის მთავრობა სულით და გულით ესწრაფვის საერთაშორისო ურთიერთობის ძირეული შენელების უზრუნველყოფას. დღეს, როცა, როგორც ეს უკანასკნელი დროის ამბებმა დაგვანახვა, გარკვეულ სახელმწიფოთა აგრესიული წრეები თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის მზად არიან ახალი მსოფლიო ომის მორევში გადაჩეხონ მსოფლიო, საბჭოთა მთავრობა კვლავ საქვეყნოდ და მტკიცედ მოუწოდებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, მშვიდობის ყველა ერთგულ დამცველს გააძლიერონ წინააღმდეგობა აგრესიისა და რეაქციის ფანდებისადმი, გამოიჩინონ ნებისყოფა და სიმტკიცე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

მთავარი და ყველაზე გადაუდებელი საკითხი, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისათვის, **განიარაღებაა.** განიარაღება ის რგოლია, რომლის საშუალებითაც შეიძლება მივაღწიოთ მთელი საერთაშორისო ვითარების ძირეულ გაუმჯობესებას.

საჭიროა გადაჭრით უარვყოთ რაღაც თეორია, რომლის მიხედვით ხანგრძლივი მშვიდობა თითქოს შეიძლება გამოიწვიოს თავით ფეხამდე შეიარაღებულ დიდ სახელმწიფოთა ძალების წონასწორობამ. ეს თეორია ხორცშესხმულია დასავლეთის მთელი რიგი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებში და მთავრობათა სტრატეგიულ გეგმებში. ეს თეორია განსაზღვრავს გამალებული შეიარაღების მასშტაბებსა და ტემპებს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მთელი რიგი ქვეყნების მიდგომის ხასიათს. ეს თეორია ასაზრდოებს „ცივი ომის“ სტრატეგიასა და ტაქტიკას და ნერგავს ნამდვილი საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესების უგულებელყოფას.

ჩაუფიქრდით, რა პერსპექტივას უქადის კაცობრიობას პრინციპად გამოცხადებული მეტოქეობა გამალებული შეიარაღების საქმეში. ასეთი მეტოქეობის დროს, რომელიც თავისი არსებით გამორიცხავს რაიმე შემზღუდველ ფარგლებს, ლაპარაკიც არ შეიძლება ძალთა წონასწორობაზე. პირიქით, იქ, სადაც მოქმედებს მეტოქეობის პრინციპი საერთოდ გამალებული შეიარაღების და, კერძოდ, ატომგულის იარაღის დამზადების დარგში, იქ გამორიცხულია ძალთა მყარი წონასწორობის შესაძლებლობა, თუ გამოვიყენებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულ ფორმულას „ომის ზღვარზე ბალანსირებით“.

სავსებით გასაგებია, რომ ასეთი „ბალანსირება“ მოითხოვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ გარემოს. და შემთხვევითი როდია, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის თვალსაჩინო მქადაგებლებს ჯერ კიდევ შეაქვთ თავიანთ არსენალში ხალხთა ყოველგვარი დაშინება, თესავენ შიშისა და უნდობლობის შხამიან თესლს. იცავს რა ეგრეთწოდებულს „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალურ გლობალურ გეგმას“, ინგლისის ფელდმარშალი მონტგომერი აცხადებს: „ადვილი არ არის სოლიდარობის დაცვა, თუ არ არის შიში“. მას ბანს აძლევს ნატო-ს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი გენერალი გრიუნტერი: „თანაარსებობის საბჭოთა პოლიტიკის გამო, — ამბობს იგი, — წარმოიშვა საფრთხე, რომ გაქრება შიში, რომლითაც საზოგადოებრიობა მოცული იყო წარსულში“. როგორც ხედავთ, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის სულისჩამდგმელთ შიში ესაჭიროებათ!

მხოლოდ ხელოვნურად დანერგილი შიშის არაჯანსაღ ატმოსფეროში შეიძლება ამოქაჩონ გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან აურაცხელი თანხები შეიარაღებაზე, დაფარონ დედამიწა სამხედრო ბლოკებისა და სამხედრო ბაზების ქსელით. ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შვიდი წლის არსებობის მანძილზე მისმა ორგანიზატორებმა სამარი მზადებისათვის დახარჯეს 364 მილიარდი დოლარი. 364 **მილიარდი!** ეს ნიშნავს, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა ნატო-ს მონაწილე ქვეყნებში თვითეულ ოჯახს საშუალოდ დაუჯდა 3.274 დოლარი.

ბატონებო! თუ სერიოზულად ვიზრუნებთ კაცობრიობის მომავლისათვის, თუ სერიოზულად ვეცდებით შეგქმნათ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის გარანტიების სისტემა, მოგვიხდება ვაღიაროთ, რომ გამალებულ შეიარაღებაში მეტოქეობის საფუძველზე ძალთა წონასწორობის ფსევდორეალისტური თეორია უსაფუძვლოა. იგი ვერ მისცემს კაცობრიობას ხვალინდელი დღის რწმენას. იგი ძირს უთხრის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებული საერთაშორისო უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის თვით იდეას.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამ დღეებში მთელი მსოფლიოს წინაშე გააკეთა უმნიშვნელოვანესი განცხადება განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე. ეს განცხადება, კერძოდ, შეიცავს ახალ წინადადებებს განიარაღების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე მისი გამოცდას აკრძალვისა და ამ ღონისძიებათა დაცვისადმი ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფის შესახებ. ახალი საბჭოთა წინადადებანი შეესაბამებიან მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს და დიდი კონსტრუქციული წვლილია მშვიდობის ნამდვილი განმტკიცების საქმეში, და მე მოვუწოდებ გენერალურ ასამბლეას განიხილოს ეს წინადადებანი მთელი ყურადღებით, როგორსაც ისინი იმსახურებენ.

საბჭოთა წინადადებანი უწინარეს ყოვლისა აყენებენ საკითხს **ორი წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების** შესახებ. ისინი ითვალისწინებენ, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალები ამ ვადის განმავლობაში დაყვანილ იქნან 1-1,5 მილიონ კაცამდე თვითეული ამ ქვეყნისათვის, ინგლისისა და საფრანგეთისა შესაბამისად — 650 ათას კაცამდე, ყოველი დანარჩენი სახელმწიფოსა — 150-200 ათას კაცამდე. ამასთან მხედველობაშია გარკვეული თანმიმდევრობა. პირველი ნაბიჯი, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა მთავრობის წინადადებათა განსახორციელებლად პირველ წელს, უნდა იყოს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების 2,5 მილიონ კაცამდე შემცირების უზრუნველყოფა, ინგლისისა და საფრანგეთისა — 750 ათას კაცამდე თვითეული ამ სახელმწიფოსათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობას შემდეგ შემოაქვს წინადადება, **რომ ორი წლის ვადაში განხორციელდეს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა.** საქმე ეხება იმას, რომ შეწყდეს ატომგულის იარაღის წარმოება, აიკრძალოს მისი გამოყენება, ამასთან მთლიანად მოისპოს ატომგულის იარაღის მარაგი და ამოღებულ იქნას იგი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან.

მე განსაკუთრებით მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმას, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებათა თანახმად **ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ამ იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.**

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ეხებიან აგრეთვე ისეთ მწვავე საკითხს, როგორიც არის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნის საკითხი, აგრეთვე საკუთარი ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ სამხედრო ბაზების განლაგების საკითხი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ამჟამად გარკვეულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად იმყოფებიან ოთხი ქვეყნის ტერიტორიაზე— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, უნგრეთსა და რუმინეთში. რაც შეეხება სამხედრო ბაზებს, საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, უკვე მოახდინა საზღვარგარეთ ყველა თავისი სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიანთი შეიარაღებული ძალები ჰყავთ დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჰოლანდიაში, იტალიაში, მაროკოში, ლიბიაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ფილიპინებზე და სხვა ქვეყნებში. პრესაში გამოქვეყნებული საკმაოდ არასრული ცნობებით, სხვის ტერიტორიაზე არის ამერიკის სულ ცოტა 100 სამხედრო-საჰაერო ბაზა, აქედან 20 — ინგლისის ტერიტორიაზე, 18 — იაპონიაში, 12 — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 8 — საფრანგეთში, 6 — მაროკოში, 5 — კანადაში, 5 — სამხრეთ კორეაში, 5 — ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ ჩინეთის ტერიტორიის ნაწილზე (კუნძული ტაივანი). ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზებია აგრეთვე ესპანეთის, თურქეთის, გრენლანდიის, საბერძნეთის, ფილიპინების, ისლანდიის ტერიტორიებზე, აზორის კუნძულებზე, ლიბიაში, საუდის არაბეთსა და სხვა ადგილებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზები, რომლებიც განლაგებულია სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, არის იტალიაში (3 ბაზა), იაპონიაში — (3 ბაზა), ფილიპინებზე, დასავლეთ გერმანიაში, ესპანეთში, გრენლანდიაში, მაროკოში, ლიბერიაში, კანადაში, ბერმუდის კუნძულებზე, ტრინიდადში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში.

და ცდილობენ ჩვენ დაგვარწმუნონ, რომ ყველაფერი ეს კეთდება თავდაცვის მიზნით!

ცოტა შეიარაღებული ძალები როდი ჰყავს თავისი ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ დიდ ბრიტანეთსაც. ცნობილია, რომ ინგლისის ჯარები არიან, კერძოდ, დასავლეთ გერმანიაში, ლიბიაში, ეგვიპტეში, ბაჰრეინის კუნძულებზე, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში და სხვ. საფრანგეთის ჯარები იმყოფებიან დასავლეთ გერმანიაში, ტუნისში, მაროკოში, ლიბიაში, კვიპროსზე, ეგვიპტეში და სხვ.

ყველასათვის ცხადია, რომ ჯარების ყოფნა და სამხედრო ბაზების განლაგება სხვის ტერიტორიებზე ერთ-ერთი წყაროა, რომელიც კვებავს საერთაშორისო დაძაბულობას. **საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება, რომ 1957 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც განლაგებული არიან გერმანიის ტერიტორიაზე, შემცირდეს მესამედით და დაწესდეს შესაბამისი კონტროლი ამ შემცირებისადმი. ამავე დროს უნდა განხორციელდეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ამ შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირება, რომლებიც განლაგებული არიან ნატო-ს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე, და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც განლაგებული არიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე. ორი წლის განმავლობაში უცხოეთის მთელი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ლიკვიდირებულ უნდა იქნან.**

უფრო მეტიც, ჩვენ ვეუბნებით დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს: როგორც ეს თქვენს ჯარებს გაიყვანთ დასავლეთ გერმანიიდან, როგორც ეს მოახდენთ თქვენი სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების ლიკვიდაციას სხვების ტერიტორიებზე, ჩვენც ამავე დროს გვიყვანთ ჩვენს ჯარებს იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი იმყოფებიან ვარშავის ხელშეკრულების ძალით. ეს ჯარები იქ იმყოფებიან სოციალისტურ სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთთანხმობით, და მათი ყოფნ-ს საკითხს გადაწყვეტენ სოციალისტური ქვეყნების მთავრობები იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც გამოცხადებულია საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში.

ჩამოყალიბებული პროგრამის შესაბამისად უზრუნველყოფილ უნდა იქნას სახელმწიფოთა საძხედრო ხარჯების სათანადო შემცირება. ეს, რა თქმა უნდა, თავის კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ხალხთა ცხოვრების დონეზე.

განიარაღების გზაზე შებრკოლების ლოდად დასავლეთის სახელმწიფოებს მიაჩნიათ განიარაღების სათანადო ღონისძიებათა განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის მოწყობის საკითხი. საბჭოთა მთავრობას არაერთგზის წამოუყენებია შორს გამიზნული წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზუსტ და ქმედით საერთაშორისო კონტროლს. საბჭოთა კავშირი, კერძოდ, წინადადებას იძლეოდა და იძლევა ამჟამად ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით ქვეყნების ტერიტორიაზე ნაცვალგების საწყისებზე დაწესდეს საკონტროლო პოსტები დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე. ამ პოსტებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ არ მოხდეს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების საშიში კონცენტრაცია.

არ ეწინააღმდეგებოდნენ რა არსებითად ამ წინადადებას, დასავლეთის სახელმწიფოთა, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები დღემდე ჩვეულებრივად ამას უპირდაპირებდნენ ეგრეთწოდებული „ღია ცის გეგმას“, ე. ი. ურთიერთ აეროფოტოგადაღების გეგმას. საბჭოთა მთავრობას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ეს წინადადება სულაც არ წყვეტს განიარაღებისადმი კონტროლის პრობლემას და თავიდან ვერ აგვაცილებს აგრესიას. მაგრამ, რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთ წინადადებას აყენებენ როგორც განიარაღების შესახებ ყოველგვარი შეთანხმების აუცილებელ პირობას, — და, ამრიგად, იქმნება ჩიხი, — საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა გადადგას ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი თავისი პარტნიორების პოზიციისაკენ.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს საკითხი აეროფოტოგადაღების გამოყენების შესახებ ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძირითადი შეიარაღებული ძალების განლაგების რაიონში. სსრ კავშირი წინადადებას იძლევა მოეწყოს აეროფოტოგადაღება 800 კილომეტრამდე სიღრმეზე აღმოსავლეთით და დასავლეთით ზემოაღნიშნული შეიარაღებული ძალების გამიჯვნის ხაზიდან. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს გეგმა უნდა განხორციელდეს შესაბამის სახელმწიფოთა თანხმობით.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ყველა ეს ღონისძიება, რომლებიც ესოდენ დიდმნიშვნელოვანია თავისთავად, შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს **ყველა ტიპის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებათა სრული ლიკვიდაციის** დასაწყისი იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფოთა განკარგულებაში დარჩნენ მხოლოდ პოლიციის კონტინგენტები, რომლებიც საჭიროა შინაგანი უშიშროებისა და სახზღვრების დაცვისათვის.

სურს რა შეუქმნას ხალხებს იმის რწმენა, რომ იარაღს არასოდეს აღარ გამოიყენებენ სახელმწიფოთა შორის დავის გადასაწყვეტად, სსრ კავშირს კვლავ შემოაქვს წინადადება **დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალ ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის.** რამდენადაც ამ პაქტის მონაწილეთა შორის იქნებიან სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალები ჰყავთ, ასეთი პაქტი რადიკალურად შეცვლიდა მთელ საერთაშორისო ვითარებას. იგი ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის შექმნას, ასეთია მოქმედების ფართო და ამავე დროს რეალისტური პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა.

იბადება კითხვა, სად და როგორ უნდა მოეწყოს ამ პროგრამის განხილვა და შესაბამის გადაწყვეტილებათა შემუშავება. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს ამ საკითხთა გადაწყვეტის ძიება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. მაგრამ შექმნილი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი ომის თავიდან აცილებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნით. ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის წინადადებას **სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის შესახებ.** ასეთი თათბირი გააადვილებდა შეთანხმების მიღწევას განიარაღების საკითხებზე. უფრო მეტიც, ამ თათბირის წარმატებით მოწყობას შეუძლია მოამზადოს ფართო თათბირის მოწვევა ნატო-ს და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. სასურველი იქნება, რომ ამ ფართო თათბირში მონაწილეობა მიიღონ მთელი რიგი სხვა ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, იუგოსლავიის, ინდონეზიისა და ბირმის მთავრობათა მეთაურებმა, ქვეყნებისა, რომლებიც არ შედიან რაიმე ხაზზედრო დაჯგუფებაში.

როგორც საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, მსოფლიოს წინაშე ამჟამად ორი გზაა: ან „ცივი ომის“ შეწყვეტის, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკაზე უარის თქმის, განიარაღების და სხვადასხვა ეკონომიური და სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ყველა პირობის შექმნის გზა, ან გამალებული შეიარაღების განგრძობის, „ცივი ომის“ განგრძობის — გზა, რომელიც მიდის უმაგალითოდ მძიმე და დამანგრეველი ომისაკენ. მესამე გზა არ არის.

„საბჭოთა მთავრობა, — ნათქვამია განცხადებაში, — იცავდა და იცავს იმ აზრს, რომ მსოფლიოში არ არის ისეთი სადავო პრობლემა, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, შესაბამის სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. რაც შეეხება არსებულ იდეოლოგიურ უთანხმოებას, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებისათვის, ომის პროპაგანდისათვის, მით უფრო იმისათვის, რომ ერთმა სახელმწიფომ ძალა გამოიყენოს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი უთანხმობა შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას იდეური ბრძოლის გზით, რომელშიც ამა თუ იმ იდეოლოგიის, ისევე როგორც ამა თუ იმ ეკონომიური სისტემის უპირატესობას დაამტკიცებს თვით ისტორიული განვითარების მსვლელობა“.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მოგიწოდებთ თქვენ მხარი დაუჭიროთ საბჭოთა კავშირის მიერ შემოტანილ წინადადებებს, რომელთა რეალიზაცია ძირეულად შეცვლის საერთაშორისო ურთიერთობის მთელ ატმოსფეროს, აღმოფხვრის ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს, განამტკიცებს ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ერთა ეკონომიური თანამშრომლობა

ბატონებო! ანალიზს ვუკეთებთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტუალურ ამოცანებს, არ შეიძლება არ შეეხოთ იმ სერიოზულ **ეკონომიურ პრობლემებს,** რომლებიც მილიონობით ადამიანს აღელვებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს აქტიურ ეკონომიურ თანამშრომლობას მსოფლიო მასშტაბით, ყველა ხალხის ინტერესებისათვის. ქვეყნების სოციალური სისტემების განსხვავება არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს ამ თანამშრომლობის დაბრკოლება. ატლანტიკის ბლოკის ლოზუნგის „მოდით შევიარაღდეთ!“ საწინააღმდეგოდ ჩვენ ვაყენებთ ლოზუნგს **„მოდით ვიაჭროთ!“.** სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდებული პროგრამა, რომელიც დასახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმით, უაღრესად ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გასაფართოებლად. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობის განვითარება შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპების ზუსტად დაცვით, სრულიად უდისკრიმინაციოდ.

საერთო აღიარებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი ეკონომიური ორგანოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს.

უფრო მეტიც, დღემდე გაუქმებული არ არის 1950 წელს მიღებული უკანონო გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობაზე ემბარგოს შესახებ, რაც არ შეიძლება ხელს არ უშლიდეს ჯანსაღი საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა დელეგაცია აპირებს ამ სესიის განსახილველად შემოიტანოს წინადადება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც იმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში. ეს ახალი ორგანო შეძლებს გაითვალისწინოს თავის მუშაობაში დადებითი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის და ლათინური ამერიკის ეკონომიურმა კომისიებმა.

მომწიფდა აგრეთვე მკვეთრი საჭიროება ფართოდ განხილულ და შეთანხმებულ იქნას გადაწყვეტილებანი ყველაზე აქტუალური ეკონომიური ამოცანების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებასთან. ამის შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს წინადადება — **1957 წელს მოეწყოს მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია და ამ კონფერენციაზე მოწვეულ იქნას ყველა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან ისინი თუ არა.** ასეთ ეკონომიურ კონფერენციას შეუძლია განიხილოს დაახლოებით შემდეგი პრობლემები: ა) მსოფლიო ვაჭრობის შემდგომი განვითარება და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში; ბ) საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში; გ) საერთაშორისო საკრედიტო და საფინანსო პრობლემები.

ეჭვი არ არის, რომ მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია დადებით გავლენას მოახდენს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაზე.

კოლონიური სისტემა ღიკვიდირებულ უნდა იქნას

ბატონებო! თანამედროვეობის თვალსაჩინო ნიშანია **აზიისა და აფრიკის ხალხთა განთავისუფლებისა და აღორძინების დიდი პროცესი.** უკანასკნელ ათ წელიწადში მილიარდნახევრიანი მეტი ადამიანი — დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი — დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ მთელ მსოფლიოს უჩვენა არა მარტო აღმოსავლეთის ხალხთა განუზომლად გადიდებული ხვედრითი წონა საერთაშორისო პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე მათი უმნიშვნელოვანესი როლი როგორც

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია გზა გადაეღობოს აგრესიისა და რეაქციის ძალებს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ჯ. შეპილოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1956 წლის 22 ნოემბრის კლენარულ სხდომაზე.

(დასასრული)

მშვიდობის ფაქტორისა, როგორც თანასწორუფლებიან ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის დამცველისა.

მაგრამ კოლონიალიზმი ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ლიკვიდირებული. მთელი რიგი ქვეყნები კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების მდგომარეობაში არიან. იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მუდამ უხდებათ შეტაკება კოლონიალიზმის სხვადასხვა ფორმასთან.

განა კოლონიალიზმის გამოვლინება არ არის ომი, რომელსაც საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ეწევიან ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, ჰოლანდიის მიერ ინდონეზიის ტერიტორიის — დასავლეთ ირიანის ოკუპაცია, ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ ჩინეთის ძველისძველი ტერიტორიის ნაწილის — კუნძულ ტაივანის ოკუპაცია ან პორტუგალიის უარი გაათავისუფლოს ინდოეთის ტერიტორია — გოა? ცნობილია აგრეთვე სხვა გამოვლინებები კოლონიალიზმისა, რომელიც ეგუება გარემოებებს და. სულ უფრო ხშირად მიმართავს რა შენიღბვას, იგონებს „კონსორციუმებს“, „ასოციაციებს“ და კოლონიური ექსპანსიის სხვა თითქოს „არაპოლიტიკურ“ ფორმებს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ინდონეზიის პრეზიდენტს ბ-ნ სუკარნოს, რომელმაც ამას წინათ თქვა, რომ ჩვენს საუკუნეში „არ შეიძლება იყოს მტკიცე მშვიდობა ან უშიშროება მანამდე, სანამ კოლონიალიზმის უკანასკნელი ნაშთები არ ჩაიყრება ისტორიის სანაგვე ყუთში ფაშიზმთან, ფეოდალიზმთან, მონობასთან და საუკუნეთა სხვა ნაგავთან ერთად“. მართლაც, კოლონიალიზმი ზამავს საერთაშორისო ატმოსფეროს, იწვევს ხალხთა შორის გათიშვასა და მტრობას, თესავს სიძულვილისა და ომის თესლს. ლიკვიდაცია კოლონიალიზმის სისტემისა, რომელმაც თავისი დრო მოჭამა, სასიცოცხლო ისტორიული საჭიროება გახდა.

ბატონებო! გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია განზე ედგეს კოლონიების ხალხთა განთავისუფლების დიად პროცესს. გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის მსვლელობაში ჩვენ უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ მთელი რიგი გადაუდებელი საკითხები, რაც ეხება იმ ხალხთა ცხოვრების ინტერესებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ თვითგამორკვევის უფლებით და ბრძოლას ეწევიან კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მე მინდა, კერძოდ, შევეხო მთელი რიგი ტერიტორიებისადმი გაჭიანურებული მეურვეობის საკითხს. დღემდე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ შესაქცერის იმას, თუ როგორ არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა სამეურვეო ტერიტორიებს მართავენ, ვალდებულებებს, რომლებიც მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ეკისრებათ. ცნობილია, რომ ზოგან თვითმმართველობის ორგანოებიც კი არ შექმნილა, და მკვიდრი მოსახლეობა არსებითად ჩამოშორებულია ტერიტორიის მართვას. ზოგიერთ სახელმწიფოს ერთობ თავისებურად ესმის მეურვის უფლება, როცა, მაგალითად, ატომური იარაღის გამოცდას აწყობს სამეურვეო ტერიტორიებზე და ამით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. უფრო მეტიც: ზოგიერთი ქვეყანა ახორციელებს ოინისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურვეო ტერიტორიების ანექსია. როგორც ვხედავთ, არის ტენდენცია, რომ დაამკვიდრონ კოლონიური ჩაგვრა და კოლონიური დამოკიდებულება, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ახლავე შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება, რომ დაწესდეს გარკვეული უმოკლესი ვადები, რომელთა განვლის შემდეგ ყველა სამეურვეო ტერიტორიის ხალხებს მიენიჭებოდათ დამოუკიდებლობა. ახლავე უნდა მიენიჭოს სამეურვეო ტერიტორიებს უფლება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარგზავნონ თავიანთი მეთვალყურენი, რომლებიც ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები იქნებიან.

სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების შესახებ

თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ალმავლობის, მათი ინდუსტრიალიზაციის უზრუნველყოფა, ზრუნვა იმ უფსკრულის უსწრაფესად ლიკვიდაციისათვის, რომელიც ამ ქვეყნებს ეკონომიური თვალსაზრისით ამორებს დიდად განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში განიხილება საკითხი, რომ შეიქმნას **სუსტად განვითარებული ქვეყნების განვითარების სპეციალური ფონდი.** საბჭოთა დელეგაციას ეს ღონისძიება მიზანშეწონილად მიაჩნია და ფიქრობს, რომ საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. საბჭოთა კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ასეთ ფონდში.

საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებში სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების გაწევისათვის, არამედ ისიც, რომ ითანამშრომლოს მათთან **ორმხრივ საფუძველზე.** პრაქტიკულად სსრ კავშირი სრული თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე უკვე თანამშრომლობს მთელ რიგ სახელმწიფოებთან. ამჟამად სსრ კავშირი სხვა ქვეყნებს ეხმარება რამდენიმე ასეული სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში და მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით მისცა მათ 25 მილიარდ მანეთზე მეტი საერთო თანხის გრძელვადიანი კრედიტები. ამასთან სსრ კავშირი არ ცდილობს მოიპოვოს კონცესიები ან მონაწილეობა მოგებაში, არ აყენებს პირობებს, რომლებიც შეუთავსებელია ქვეყნების სუვერენიტეტთან, ეროვნულ ინტერესებთან და ღირსებასთან, არ მოითხოვს, რომ ამის საზღაურად პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ვალდებულებანი იკისრონ.

ბატონებო! თანამედროვე საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ და ავამოქმედოთ დიდი შესაძლებლობანი, რომელიც ამ ორგანიზაციას აქვს და რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

ამასთან დაკავშირებით მე უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, კვლავ გამოთქვამს უდიდეს აღშფოთებას იმის გამო, რომ სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფის მიზეზით ამ სესიაზეც არ არის მოწესრიგებული მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმომადგენლობის საკითხი. ის ფაქტი, რომ ინდოეთის წინადადება ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ უარყოფილ იქნა, გვიჩვენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიგნით მოქმედებენ ძალები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ ორგანიზაციას დაიკავოს ის ადგილი საერთაშორისო ცხოვრებაში, რომელიც მას უნდა ეკავოს თავისი წესდების შესაბამისად.

ჩვენი უპირველესი და ელემენტარული მოვალეობაა გამოვასწოროთ საშინელი უსამართლობა, რომლის შედეგად აქ, ამ დარბაზში, არ იმყოფება ექვსასმილიონიანი ჩინეთის კანონიერი წარმომადგენელი. საქმე ეხება არა მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელ უფლებათა პატივისცემას. საქმე არანაკლებ ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და პრუნციპების პატივისცემას. დროა ბოლო მოეიოს ამ უსამართლობას.

ამ დარბაზში წარმოდგენილი არიან სხვადასხვა პოლიტიკურ დაწესებულებათა, სხვადასხვა სარწმუნოების, ფილოსოფიური რწმენის მოიკაწენი. ამ მხრივ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობა ასახავს მსოფლიოს რეალურ სურათს. სხვადასხვაგვარია სახელმწიფოები და ხალხები, რომელთა წარმომადგენლები აქ შეკრებილან, მაგრამ ყველა მათგანმა აღიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები. მაშასადამე, ყველა ამ სახელმწიფოსა და ხალხს აქვს არა მარტო ის, რაც მათ თიშავს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, აგრეთვე ის, რაც მათ უნდა **აერთიანებდეს.**

ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ერთ პლანეტაზე; მისი გაყოფა იზოლირებულ ნაწილებად არ შეიძლება. მაშასადამე, ჩვენ უნდა შევეგუოთ ერთმანეთს და ბეჯითად ვეძებნოთ მშვიდობიანი, ნაყოფიერი თანამშრომლობის გზები მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრ მეცადინეობას მოითხოვს, მაგრამ როცა საქმე ეხება ესოდენ დიადი მიზნის მიღწევას, ვერავითარმა სიძნელემ ვერ უნდა შეგვაჩეროს.

რა უნდათ, რას მოითხოვენ ხალხები? რა დავალება მისცა აქ მყოფ დელეგატებს ევროპისა და ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ოკეანიის მცხოვრებმა ასეულ მილიონობით ადამიანმა? სხვადასხვა ენაზე ჩვენ გვიყენებენ ხალხთა ერთ მბრძანებლურ მოთხოვნას — მიაღწიეთ მტკიცე მშვიდობას, განდევნეთ საერთაშორისო ატმოსფეროდან მტრობისა და ურთიერთ უნდობლობის სულისკვეთება, უზრუნველყავით კაცობრიობისათვის უშფოთველი და მშვიდობიანი შრომა.

მაშ აღვკვეთოთ ყველაფერი, რაც აბრკოლებს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას და რაც ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ღირსეულად შეასრულოს თავისი პასუხსაგები მისია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალები ეგვიპტეში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აბუ-სუვეირიდან იუწყება, დღეს იქ ჩავიდა ეგვიპტეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდლის პოსტზე დანიშნული გენერალ-მაიორი ბერნსი.

დღეიდან გენერალი ბერნსი შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას.

სირიაზე შეიარაღებული თავდასხმის გეგმები

ტელ-ავივი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლამერჰავი“, იმოწმებს რა „სანდო წყაროებს“, წერს, რომ ერაყისა და თურქეთის მმართველი წრეები ემზადებიან შეიარაღებული თავდასხმა მოახდინონ სირიაზე, რათა მისი ტერიტორია თურქეთსა და ერაყს შორის გაჰყონ.

როგორც ცნობილი გახდა, წერს გაზეთი, თურქეთის შეიარაღებულ ძალებს ამჟამად თავს უყრიან სირიის საზღვრის რაიონში, ინგლისი, თავის მხრივ, სასწრაფოდ აიარაღებს ერაყს.

გაზეთის სიტყვით, სირიაზე თავდასხმის საბაბი იქნება „ნავთობსადენის დაცვა“, რომელიც კომპანია „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ეკუთვნის.

ДЕПЕША ИНДОНЕЗИЙСКОГО ПРАВИТЕЛЬСТВА ДЕЛЕГАЦИИ МЕТИЕВ САВЖОТА В ООН

МИС АЛМАТЕБУЛЕБАС З. ЛОГАНОВСЕ
ССР КАВШИРИС УМАЛЛЕСИ САБЧОС КАВШИРИС САБЧОС თავმჯდომარეს

МИС АЛМАТЕБУЛЕБАС З. ЛАЦИСЕ
ССР КАВШИРИС УМАЛЛЕСИ САБЧОС ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს
ქალაქი მოსკოვი

მშვიდობით დავბრუნდით ჯაკარტაში. საპარლამენტო დელეგაციის წევრები მადლობას გიხდიან საბჭოთა კავშირის ხალხის მხრივ გულთბილი მიღებისა და დიდი ყურადღების გამო.

ჰარდი, ინდონეზიის საპარლამენტო დელეგაციის მეთაური.

მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტის საწარმოებმა შეწყვიტეს მუშაობა. არ მუშაობს მეტრო, ხაზზე არ გამოსულა ტრამვაი და ავტობუსები. ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ გუშინ თვითნებურად წარმოშობილმა მუშათა საბჭომ 48 საათის გაფიცვა გამოაცხადა.

დღეს ბუდაპეშტის გაზეთებში გამოქვეყნდა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის ბრძანებულება, რომელიც განსაზღვრავს მუშათა აიბჭოების მდგომარეობასა და როლს საწარმოებში. მთავრობა მუშათა საბჭოების საქმიანობას საწარმოთა ფარგლებით და მოცემული საწარმოს საწარმოო შუშაობით ზღუდავს.

გაზეთმა „ნეპაკარატმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოუწოდებს შეწყვიტონ გაფიცვა.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, წერს გაზეთი, რომ ბუდაპეშტისა და პროვინციათა საბჭოების გუშინდელი გადაწყვეტილება არ ემსახურება ჩვენი ხალხის საქმეს — დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრების მოპოვებას. უნგრეთის ახლანდელ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ასეთი ცხოვრების მოპოვებას უზრუნველყოფს მხოლოდ შემოქმედებითი შრომა.

გუშინ ბუდაპეშტში, უნგრეთის რკინიგზების სამმართველოში, გაიმართა რკინიგზის კვანძებისა და მთავარი სარემონტო სახელოსნოების მუშათა საბჭოების ასზე მეტი წარმომადგენლის თათბირი. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთელი უნგრეთის რკინიგზელები დაუყოვნებლივ შეუდგებიან მუშაობას.

ბუდაპეშტის რადიოს ცნობით, უნგრეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება ცალკეულ მსხვილ საწარმოებში მთავრობის რწმუნებულთა დანიშვნის შესახებ. ეს დროებითი ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ საჭიროა გასახლდეს წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას მისი უწყვეტობა. მთავრობის რწმუნებულთა ამოცანაა დაუყოვნებლივ უზრუნველყონ წარმოება და განახორციელონ ამისათვის საჭირო ღონისძიებანი, აგრეთვე შეასრულონ კანონები და ის დადგენილებანი, რომელთაც კანონის ძალა აქვთ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ რაიმონ გიუიოს მოხსენების გამო გამართული კამათის დასასრულს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა.

თვითეულ ჩვენგანს, თქვა მან, შეგნებული აქვს მომენტის სერიოზულობა, ამბების მნიშვნელობა და იმ ღონისძიებათა გაქანება, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ხორციელდება ჩვენი თეორიის თვით საფუძვლების წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. თვითეული ჩვენგანი მტკიცედ უჭერს მხარს პარტიის ნაცად პრინციპებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და ჩვენი XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც განსაზღვრა სწორი ხაზი, რომელსაც ადასტურებს მოვლენათა მთელი განვითარება.

შემდეგ ტორეზმა დაახასიათა მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ომის პოლიტიკის შედეგად, რასაც მთავრობა ახორციელებს, აგრეთვე ფაშისტურ გამოზდომათა შედეგად, რაც ამ ბოლო დროს მოხდა საფრანგეთში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაშინ როცა გრძელდება ომი ალჟირში, ინგლისს, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობები თავს დაესხნენ ეგვიპტეს, შექმნეს რა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტი, რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს მსოფლიო ომის საფრთხეს.

ტორეზმა აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკის საშუალებით საფრანგეთის მთავრობას უნდოდა არა მარტო დაეცვა სუეცის არხის ყოფილი კომპანიის მილიარდერთა ინტერესები, არამედ აგრეთვე ცდილობდა შემოვლითი გზით შეეჩერებინა ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება ალჟირში.

შემდეგ ტორეზმა თქვა, რომ ეგვიპტეზე შეიარაღებულმა თავდასხმამ აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და უკვე შეუქმნა საფრანგეთს სერიოზული ეკონომიური სიძნელეები.

ანალიზი გაუკეთა რა ამ სიძნელეებს და აღნიშნა რა საფრანგეთის იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე, ტორეზმა განაცხადა, რომ რეაქცია აჩაღებს შეტევას თვით საფრანგეთშიც, ხელყოფს რა დემოკრატიულ თავისუფლებებს. ფაშიზმი და ომის მომზადება, თქვა მან, განუყოფლად დაკავშირებულია ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ მთავრობისა და მისი პოლიტიკის მფარველობით იმათ, ვინც ფაშისტ ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, ცენტრალურ ევროპაში მყოფ ემიგრანტთა ნაძირალებთან, თავიანთი ქვეყნის მოღალატეებთან ერთად 15 დღის წინათ სინჯეს ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი ძალები. ისინი ცეცხლს უკიდებდნენ შენობებს და ხოცავდნენ ადამიანებს. ყველაზე შავბნელი რეაქციის წარმომადგენლებმა ისიც კი მოითხოვეს ეროვნულ კრებაში, რომ აიკრძალოს ჩვენი პარტია. ჩვენი მოწოდებით მუშათა კლასმა პირველი წარმატებითი წინააღმდეგობა გაუწია ფაშისტური პუტჩის ცდას. მაგრამ ფაშისტთა პროვოკაციები საფრანგეთისა და საერთაშორისო რეაქციის ძალა კი არ არის, არამედ სისუსტეა.

ტორეზის სიტყვის მეორე ნაწილი მიეძღვნა უნგრეთის ამბებს.

ტორეზმა თქვა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია და ყველა მისი დამჭაშნი შეეცადნენ უნგრეთის ამბები გამოეყენებინათ იმისათვის, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ეგვიპტის ომს. როგორ შეიძლება აიხსნას უნგრეთის ამბები? — განაგრძო ტორეზმა. — მათი ძირითადი მნიშვნელობა ის არის, რომ საერთაშორისო რეაქცია არ აპირებს ხელი აიღოს ცდებზე — შეასუსტოს სოციალიზმის მშენებელ ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა, შეიტანოს განხეთქილება, რათა შემდეგ სცადოს ერთიმეორის მიყოლებით მოსპოს ისინი. ამ ქვეყნებში ძირგამომთხრელ მუშაობაზე მილიონობით დოლარი დაიხარჯა. სანამ დედამიწაზე იარსებებს იმპერიალიზმი, იგი ეცდება მოაწყოს შეთქმულებანი კაპიტალისტური რეჟიმის რესტავრაციისათვის იქ, სადაც იგი ლიკვიდირებულია. ასეთია უნგრეთის ამბების მთავარი გაკვეთილი.

შემდეგ ტორეზმა თქვა, რომ უნგრეთის ამბების მომზადებაში მოქმედებდა შინაგანი და საერთაშორისო კონტრრევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავდა აღედგინა ფაშისტური რეჟიმი, მოესპო სოციალისტური მონაპოვარნი, აღედგინა რევიზიონისტული და რევანშისტული პოლიტიკის კერა დუნაის აუზის ცენტრში და რომელიც ქმნიდა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიისა და ევროპაში მშვიდობის დარღვევის საფრთხეს. იმის ცდა, რომ უნგრეთის ამბები ავხსნათ უწინარეს ყოვლისა კლასობრივი მტრის არსებობისა და მოქმედების გაუთვალისწინებლად, ნიშნავს ისტორიული სიმართლისათვის ზურგის შექცევას. დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ეს ამბები შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშათა კლასის უკმაყოფილების — უდავო და სამართლიანი უკმაყოფილების — შედეგი, ნიშნავს არა მარტო იმას, რომ წინასწარ გავამართლოთ სოციალიზმისადმი მტრული ძალების დანაშაულობანი, არამედ აგრეთვე იმას, რომ არ ვალიარონთ აშკარა სიმართლე.

მორის ტორეზმა საგანგებით მოიწონა საბჭოთა შეიარაღებული ძალების მოქმედება, რომლებიც დაეხმარნენ უნგრეთის მუშათა კლასს ფაშისტ შეთქმულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ მან აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და დარაზმულობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით იმპერიალისტური აგრესიისა და ძირგამომთხრელი მოქმედების მოსაგერიებლად.

მან გააკრიტიკა ი. ბროზ-ტიტოს მიერ პულში წარმოთქმული სიტყვის დებულებანი, განაცხადა რა, რომ ეს სიტყვა შეიცავს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში განხეთქილების შეტანის საფრთხეს. ჩვენი პარტია, თქვა ტორეზმა, ყურადღებით აღევნებს თვალყურს ლენინის პარტიის სარელოვან გამოცდილებას, რომლითაც შთაგონებული არიან მსოფლიოს ყველა მუშათა და რევოლუციური პარტიები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება იყოს რამდენიმე ცენტრი ამ მოძრაობაში, თუ არა სურთ შეიქმნას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გათიშვის საფრთხე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვითეული ქვეყანა მიდის ან შომავალში წავა სოციალიზმისაკენ თავისი გზით, ძლურად შეეჯიბრება რა ახალი ცხოვრების მშენებელ სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ ეს მუდამ უნდა ხდებოდეს იმ მიზნით, რომ უკეთ განსორციელდეს საერთო და ერთადერთი ამოცანა: სოციალიზმ-კომუნიზმის აშენება.

ტორეზმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლას საფრანგეთის მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ ეს ერთიანობა შემდგომი წარმატების აუცილებელი პირობაა სოციალური პროგრესისა და დემოკრატიულ თავისუფლებათათვის ბრძოლაში. ტორეზმა განაცხადა, რომ ფრანგი კომუნისტები დაუცხრომლად იბრძოლებენ ამ ერთიანობის აღდგენისათვის. სერიოზული საფრთხის ამ მომენტში, თქვა ტორეზმა, ჩვენ ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ ხალხის ძალების ფართო გაერთიანების საკითხებს. საჭიროა ჩვენს ქვეყანას შიგნეთ მთავრობა, რომელიც შეესაბამება რესპუბლიკურ უმრავლესობას, ეროვნული კრების 1956 წლის 2 იანვრის არჩევნებში რომ გამოვლინდა, მთავრობა, რომელიც დაკმაყოფილებს მუშების, მშრომელი გლეხების, სახელმწიფო მოსამსახურეების მოთხოვნებს, მშვიდობისა და თავისუფლების მთავრობა. დაე ყველა მშრომელი და დემოკრატი გაერთიანდეს, და მაშინ ვერც ომი, ვერც ფაშიზმი ვერას გახდება!

სიტყვის დასკვნითი ნაწილი ტორეზმა მიუძღვნა შინაპარტიულ პრობლემებს. ტორეზმა აღნიშნა, რომ ამ დაძაბულ პერიოდში ზოგიერთი მერყეული წევრი მოითხოვს პარტიის პოლიტიკის „გადასინჯვას“.

30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, თქვა ტორეზმა, ჩვენ ვქმნიდით ლენინური ტიპის პარტიას, და ამ პარტიამ უკვე ბევრ განსაცდელს გაუძლო. მთელი ამ ისტორიული პერიოდის განმავლობაში იგი მუდამ იყო ბრძოლის პოსტზე თავის ხელმძღვანელობასთან ერთად. ჩვენ არ შევასრულებდით ჩვენს ყველაზე წმიდა მოვალეობას, თუ ნებას მივცემდით კითხვის ქვეშ დაეყენებინათ მთელი ამ ბრძოლის შედეგები. პარტია ვერ დაუშვებს იმას, რომ „დემოკრატიზაციის“ საბაბით ზოგერთებმა სცადონ შექმნან მიმდინარეობანი და ფრაქციები ოპოზიციური პლატფორმებით და ამრიგად სახელი გაუტეხონ პარტიასა და მის ხელმძღვანელობას სწორედ იმ მომენტში, როდესაც კლასობრივი მტერი და მისი ხელშემწყობნი გაფფრენებულ კამპანიას ეწევიან პარტიის წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტი, თქვა დასასრულ ტორეზმა, ახლანდელი მომენტის მოთხოვნილების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ეჭვი არ არის, რომ პარტია კიდევ უფრო მტკიცე გამოვა ამ დაძაბული ბრძოლიდან, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ეწევა გარეშე მტრის წინააღმდეგ და ოპორტუნისტთა მთავრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ყბადაღებული „მემარცხენე“ სექტანტების წინააღმდეგ თავის რიგებში. პარტია ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე.

თავისი მუშაობის დასასრულს პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იწონებს რაიმონ გიუიოს მოხსენებას და დასკვნებს, რომლებსაც მორის ტორეზის სიტყვა შეიცავს. „ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ადგენს მომავალში წარმართოს მთელი თავისი საქმიანობა იმ იდეალებით და დირექტივებით შთაგონებულმა, რომლებსაც შეიცავს პარტიის გენერალური მდივნის საბოლოო სიტყვა. იგი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ღრმად შეისწავლონ ეს სიტყვა და საფუძვლად დაუდონ თავიანთ მუშაობას“.

უცხოეთის ამბავი ერთ სტრიქონად

ბულგარეთის დელეგაცია საგენტო უარყოფს

სოფია, 23 ნოემბერი. (საკდესი). ლონდონის „ობზერვერ“-ის ბერლინელ კორესპონდენტ ფ. ბაუერის ბოლოდროინდელ მოამქვეყნდა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელ ხანს ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სააგენტოები და გაზეთები აცრცელებენ ცნობებს, რომ ბულგარეთში საბჭოთა ჯარები შემოვიდნენ. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს ოფიციალურად განაცხადოს, რომ ეს ცნობები მოულებულია ყოველგვარ საფუძველს და პროვოკაციულ მონაჭორს წარმოადგენენ.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარების კონცენტრაცია სირიისა და იორდანიის საზღვრებზე

ბეიროუთი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ლიბანის პრესა კვლავ აქვეყნებს ცნობებს ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარების კონცენტრაციის შესახებ სირიისა და იორდანიის საზღვრებზე.

როგორც გაზეთი „ად-დიარი“ იუწყება, იორდანიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სირიის საზღვარზე თავი მოიყარა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ჯარების 5 ბრიგადამ და რომ ამდენივე ჯარი კონცენტრირებულია იორდანიის საზღვარზე. მთავრობის წრეებში მიღებული ცნობებით ისრაელში ჩავიდა საფრანგეთის 150 თვითმფრინავი, ხოლო ინგლისის თვითმფრინავები უკვე იმყოფებიან ისრაელის ტერიტორიაზე.

XVI ოლიმპიური ასპარეზობა

მელბურნი, 22 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მელბურნში გაიმართა მხოლოდ ორი წინასწარი შეხვედრა კალათბურთში. საბჭოთა კავშირის სპორტსმენები შეხვდნენ კანადის გუნდს, თამაშმა სპორტის ავსტრალიელი მოყვარულების დიდი ინტერესი გამოიწვია. კანადის გუნდი შემდგარია ახოვანი მოთამაშეებისაგან, რომლებიც კარგად არიან მომზადებულნი ფიზიკურად და ტექნიკურად.

ორივე გუნდმა თამაში მუჭავედ დაიწყო, მაგრამ იგრძნობოდა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა. მათ განსორციელეს რამდენიმე სწრაფი კომბინაცია და ზედიზედ ოთხი ბურთი ჩაგდეს. ანგარიში იზრდება და თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება ანგარიშით 46:20 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში, რომელიც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, უპირატესობა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენების მხარეზეა. თამაშის საერთო ანგარიშია 97:59 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

დღეს თამაშობდნენ აგრეთვე სამხრეთ კორეისა და ტაივანის გუნდები. ანგარიშით 83:76 გაიმარჯვა ტაივანის გუნდმა.

XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი მაყურებლებს ვეღარ იტევს. ინტერესი ტურნირისადმი თანდათან იზრდება.

მეოთხე ტურში, რომელიც გუშინ გათამაშდა, ტურნირის ერთ-ერთმა ლიდერმა მოსკოველმა ოსტატმა ანტოშინმა დამარცხება განიცადა თბილისელ ოსტატობის კანდიდატ ბუსლაევთან. საერთაშორისო ოსტატმა ფურმანმა დამარცხა ოსტატობის კანდიდატი გიორგაძე, ხოლო ოსტატმა პოლუგაევსკიმ — ოსტატობის კანდიდატი ჩუკაევი.

კობლენც-კროგიუსის პარტია ყაიმით დამთავრდა. გუფელდ-ტალის პარტია არ გათამაშებულა ტალის ავადმყოფობის გამო.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან საერთაშორისო ოსტატი ფურმანი (ლენინგრადი), ოსტატობის კანდიდატი ბუსლაევი (თბილისი) და ოსტატი კობლენცი (რიგა), რომლებსაც 2½ ქულა აქვთ თვითეულს.

დღეს გათამაშდება მეხუთე ტური.

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

ერევანი. 22 ნოემბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისისა და ერევნის ნაკრები გუნდები. ასპარეზობას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. მაყურებლებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მე-10 წუთზე ბურთი გიორგანი დალაქანმა. პირველი ტაიმი დამთავრდა ერევნელთა სასარგებლოდ 2:1. შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

* * *

დღეს თბილისის ფეხბურთელთა გუნდს თბილისში მოელიან. ხვალ „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება თბილისისა და თბილისის გუნდების საერთაშორისო მატჩი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
24 ნოემბერს
ამხანაგური შეხვედრა
„ლოკომოტივი“ — მოსკოვი —
(ოსტატები)
„ლოკომოტივი“ — თბილისი
(1956 წლის საქართველოს ჩემპიონი)
დას